619
1960

66

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაღობა

№ 12 დეკემბერი 1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციური ჩავლეიშვილი
„მახარაძის რაიონის სოფელ ბოხვაურის ჩაის
მოწინავე მკრეფავი

„გარეკანის პირველ გვერდზე:
ქალაქ გორის ხედი—ფოტო გ. რახმაძისა
„მეოთხე გვერდზე—
ფოტოეტიუდი—ო. თურქიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათ-სამშენებლო ქარხანას 100 წელი შეუსრულდა



ქარხნის უძველესი მუშაკები: ზეინკალი შ. ომიაძე, ხელოსანი-ინსტრუმენტალისტი მ. ბალდასაროვი და ქარხნის მთავარი მექანიკოსი ი. მალიავსკი.



ქარხნის მექანიკური საამქროს საერთო ხედი.

ს. ორჯონიკიძის ძეგლი ქარხანაში შესასვლელთან.

მოწინავე ხარატი ი. შაიშმელაშვილი.



7986

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

რკინიგზა

№ 12 (113) დეკემბერი, 1960 წ.

გამოცემის X წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინჟინერო-სამხატვრო ჟურნალი

ბიბლიოთეკა

... რედაქციამ დაამთავრა მუშაობა ჟურნალის მორიგი ნომრის შედგენაზე. ხელნაწერების, ნახატების, ფოტოგრაფიების დასტა საქართველოს კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატის საამქროებს გადაეცა. ამწყობ საამქროში ასოთამწყობთა თითებმა თითო-თითოდ ამოკრიფეს ის 200.000-ზე მეტი სასტამბო ნიშანი, რომლებიც ჩვენი ჟურნალის ერთი ნომრის ასაწყობადაა საჭირო.



... ლუიზა სოლოღაშვილის აი ამ გაწაფული თითებითაა აწყობილი ჟურნალის სათაურები.



აწყობილი სტრიქონები უნდა დალაგდეს—დაკაბადონდეს, ისე როგორც ჟურნალის «ტექნიკური პროექტით»—მაკეტითაა გათვალისწინებული. ამ სურათზე თქვენ ხედავთ თუ როგორ აკაბადონებს ჟურნალის გვერდებს სპირიდონ ციციშვილი.

ამ დროს ოფსეტის საამქროში ნიკო კასრაძეს ფოტოგრაფიული წესით გადააქვს ფირზე ჟურნალის ილუსტრაციები.

ფოტონარკვევი ოთარ თურქიანი

ფირს რეტუშს უკეთებს რიმა ალექსანდროვა

ფირზე გადაღებული ილუსტრაციებიცა და აწყობილი ტექსტიც ერთად უნდა დამონტაჟდეს. ფორმებს ამონტაჟებს დარეჯან კაპანაძე.

ახლა ფირზე აღბეჭდილი გამოსახულება—ფორმები ცინკის ფურცლებზე უნდა იქნეს გადატანილი. ვაჟა მამალაძის ხელიდან გამოსული ფორმები უკვე საბეჭდ საამქროს გადაეცემა.

ჟურნალის ფერადი ყდა და ჩანართი ფურცლები კულტურის სამინისტროს ფოტოცინკოგრაფიაში მზადდება. მწამლავი რეტუშორი რევაზ პაიჭაძე მონდომებითა და სიყვარულით ამუშავებს ყოველი კლიშის სულ მცირედ დეტალსაც

ათეულმა ათასმა ნაბეჭდმა ფურცელმა უნდა გაიაროს საამკინძავო საამქროს კონტროლიორების ნინო კობაიძის, ბაბულია მელაძისა და ნადია ბახტაძის ხელში. შათ გამოცდილ თვალს სულ მცირედი წუნიც კი არ უნდა გამოეპაროს.

რომ ლაბიდანა ჩვენი ჟურნალი

ჟურნალის ფორმები საბეჭდავ საამქროში გადააქვთ და აქ ახლა უკვე მბეჭდავების ნოდარ ბარამიძის (ზევით) და ვანო ხორბალაძის ოსტატობისგანაა დამოკიდებული ბეჭდვის სიწმინდე და სიზუსტე.

... და აი ჟურნალი აკინძულია. შემფუთავმა ჯემალ ზავრადაშვილმა დასტებად შეკრა და სამგზავროდ გაამზადა.

ხვალ მკითხველი ჟურნალის ახალ ნომერს მიიღებს.





ქანანლებული მესხეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელიზბარ ზედგინიძე

შემოდგომაა — თბილი, მზიანი, საქართველოში რომ იცის.

დიდებული მესხეთის მიწა-წყალი კვლავ აღორძინებულა, ვისღა ახსოვს ოდესღაც ნაოხრალი და ვერანა სოფლების ვარამი.

შორიდან მოჩანს ურაველი, ეს ულეველი ბარაქით სავსე სოფელი. აგერ მუსხიც, ახალი მუსხი. არასოდეს არავის არ უნახავს მუსხი მიწის ზევით, ის მუდამ მიწის ქვეშ იყო დამალული, თანაც მთებს ამოფარებული. რომ ადვილად არ შეენიშნა მოვარდნილ ურდოს. ახლა დასამალი აღარაფერი აქვთ, მდინარის პირას გამოვიდნენ, ნოყიერ მიდამოებში. გაიხარეს მუსხელებმა. ამოვიდნენ მიწურებიდან და კარფანჯრიანი სახლები აიშენეს. ისინი ჩასახლდნენ თავიანთ ყოფილ ბაღებში, თუმცა ეს ბაღები ხალხისა არასოდეს არ ყოფილა. მათი ბატონებისა იყო — ორბელიანებისა. მუსხელებს მდიდარი შემოდგომა მოსდგომიათ კარზე, ვაშლის გორები დაუყენებიათ. ეზოებში გიზგიზებს ცეცხლი, ვეებერთელა ქვაბებში იხარშება ჭანჭურის ტკბილი ნადული.

გავცილდით მუსხს. გზა მთებისაკენ მიიწევს. თანდათან ქრება მწვანე საფარველი. დროთა განმავლობაში ტყეები გაუჩეხიათ და ხრიოკად მოჩანს მიდამო. აქ სახლობს ძველთა-ძველი სოფელი ჭობარეთი, რომელსაც ერთ დროს „მზიანი“ რქმევია. გაჩეხილ ტყეებთან ერთად ამ მიდამოებში წყალიც გამქრალა. სოფლის გასაჭირიც სწორედ ეს არის. მხოლოდ რამდენიმე წყარო მოწანწკარებს მიწის გულიდან. ჭობარეთელებს საქონლის დასაწყურებელი არ გააჩნიათ. თუმცა მესაქონლეობას მისდევენ. ზაფხულობით საქონელი მახლობელ მთაზე – საყევარზე დაუდით, ის მთა საბალახო მინდორ-ჭალებით და წყაროებით სავსეა, მდიდარია ტყითაც — ნაძვნარით, ჯრყით, ნეკერჩხლით, ვერხვით და მუხით. ახლა ჭობარეთს დიდი საზრუნავი აქვს. სოფელში საყევრის წყაროები უნდა ჩაიყვანონ. სარწყავიც უხვად ექნებათ და თავიანთ ფართობებს ბაღად გადააქცევენ.

სოფელი მზისა და მთის გულზეა გადაშლილი. ერთმანეთზე გადაჭდობილან: დაფიქრული, ირმის რქა, თაროგვერდი, ბოლოკანის მთა და ცა თავისი უსასრულობით, ხან მსუბუქი ნისლით, ხან კი მოჯარებული ღრუბლებით დაფარული. ამ ბუნებამ გააძლებინა ხალ[illegible] ია ამავე ბუნებამ დააავიწყა წარსული[illegible] ჭირ-ვარამი.

ას წელიწადს მიახლოებული მოხუცი მიხა ჯავარიძე ზეპირად ამბობს „ვეფხისტყაოსანს“, ჰყვება საუკუნის წინანდელ ამბებს, თვალით ნანახს და განცდილ-გადატანილს, მხიარულად მღერის სუფრულს, არ ავიწყდება სიყმაწვილეში ნასწავლი სტრიქონები:

„უწყლოდ, უღვინოდ, უპურად
ქამნი არასდროს იწირვის,
არცა რა ვეფხვის კლანჭითა
არწივი არ დაიჭირვის,
თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს,
ცუდია, რასაც იჭირვის...“

— აგერ იმ ადგილს, პანტის ხეები რომ დგას, „მონათლულებს“ ეძახიან,— გვეუბნება მოხუცი მიხა და თვალგასწვრივ თითს იშვერს,— ხედავთ, ტრაქტორი რომ მუშაობს, ხნულების თავზე. იქ ძველად წყაროც ყოფილა.

— დიახ, ვხედავ.

— იმ ადგილას მალულად ნათლავდნენ გათათრებული ქართველების ბავშვებს, ისე რომ თათრებს არ გაეგოთ. მღვდელი მახლობელ ყანაში იმყოფებოდა, ვითომ სამუშაოდ, ნათლია ახლომახლო მთაზე ცხვარში იყო, მშობლებს კი წყაროზე სარეცხი მიჰქონდათ, ბავშვიც თან მიჰყავდათ. ასე თავს მოიყრიდნენ, ბავშვს მონათლავდნენ და სოფელში ბრუნდებოდნენ. მერე იშლებოდა სუფრა და ქეიფობდნენ, რას მიხვდებოდნენ თათრები ქეიფის მიზეზს. ასე ვინარჩუნებდით ქართველობას!..

შუახნის კაცი, ტანმაღალი, შავგვრემანი, მზისაგან შავად ჩამწვარი სოლო გურჯიშვილი თავის გულისტკივილზე ლაპარაკობს. ის მეტყველია და ტყის დარდი აქვს. ახსოვს, ბავშვობისას ტყე ზედ სოფელზე იყო მომდგარი. ახლა კი შორს გაჰქცევია. ის თავს დასტრიალებს ყოველ ხეს. კარგად იცის, რომელი ხე შეიძლება მოიჭრას და რომელი არა.

— ტყე ადამიანის სიცოცხლეა, წყალსაც ის გვაძლევს და ჰაერსაც! ეს სრული ჭეშმარიტებაა!— თვითონვე ადასტურებს სოლო თავის ნათქვამს.

სოლოს თავისი გვარის მამაპაპეულ დარბაზში შევყავართ. დარბაზი მიწაშია ჩამჯდარი. არ უჩანს კედლები. ის დიდია, ხალვათი. თორმეტი ბოძი აქვს შედგმული, უბრალოდ ნაჩუქურთმევი. სინათლე ჭერიდან ეცემა, მიწასთან გასწორებული სახურავიდან. განიერი და მაღალი ბუხარი აქვს დატანებული. ეს იყო ოჯახის კერა, რომელშიც ცეცხლი არასოდეს არა ქრებოდა, არც ზამთარში, არც ზაფხულში. პურის საცხობიც შიგვეა მოწყობილი.

— ეს დარბაზი ორასი წლისაა, — ამბობს სოლო, — ამ ოჯახიდან ოცდაათზე მეტი განაყოფი წამოვიდა. მეც აქ ვიზრდებოდი. ყოფილა ისეთი წლები, როდესაც ამ დარბაზში ხუთი-ექვსი აკვანი ერთდროულად ირწეოდა!

პირქუში დარბაზია. მისი ჭერ-კედლები შავად შებოლილია. აქა-იქ ჭერის კუთხეებში ობობას გაუბამს ქსელი. ახლა აქ თივა ყრია, საოჯახო ხელსაწყო ალაგია: ძველი, დაჟანგებული ნამგალი, ცელი, სახნისი, კარგა ხნის წინათ მიგდებული.

— მაინც მიყვარს მე ეს დარბაზი. ამ ბუხართან ვთბებოდი ზამთრის ცივ დღეებში. აქ ცხვებოდა ჩვენი პური, იხარშებოდა შეჭამადი, რომელიც მუდამ ძალზე გემრიელი იყო! — ღიმილით ამბობს სოლო.

ჭობარეთის მეზობლად მდებარეობს სოფელი ძველი. შეძლებული სოფელია. კარგი საქონელი ჰყავთ. მშვენივრად მოვლილი მეწველი ძროხები. ძველში მისდევდნენ მესაქონლეობას, მებაღეობას, მემინდვრეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით ზედგინიძე ახალგაზრდა კაცია, ძალზე მონდომებული, რომ გარდაქმნას სოფლის ცხოვრება. მათაც აკლიათ წყალი, მაგრამ ისინი სულ მოკლე ხანში შეუდგებიან წყლის გამოყვანას. თანხები გათვა-

ახპინძის ბიბლიოთეკაში.

ლისწინებული აქვთ, სამუშაოები დაგეგმილი. ირმის რქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდოებზე გადმოივლის ლითონის მილები. ამ საქმისათვის სოფელს ოთხასი ათასი მანეთი სჭირდება. კოლმეურნეობას კაპიტალური დაბანდების ანგარიშში ასი ათასი მანეთი აქვს. კოლმეურნეები თვითდაბეგვრის გარდა არც შრომას დაიშურებენ. საქართველოს ორმოცი წლისთავს ახალი წყაროებით შეხვდებიან. სოფელს ხილის ბაღები მტკვრის ხეობაში აქვს გაშენებული. ჩვენც ამ ხეობისკენ დავეშვით.

ასპინძა განახლებულა. წინათ მხოლოდ მისი სახელი იყო მშვენიერი, რადგან ამ სოფელთან მეფე ერეკლემ სასტიკად დაამარცხა საქართველოში შემოჭრილი მტერი. არათუ დაამარცხა, მთლიანად მოსპო.

ახალი ასპინძა, სწორედ იმ ადგილას გაშენდა, სადაც ეს ბრძოლა მოხდა — ოშორის მთების კალთის დავაკებაზე. რაიონის ხელმძღვანელებს სოფელი მცენარეულობით დაუმშვენებიათ. ჯერჯერობით მას სოფელი ეწოდება, მაგრამ არაფრით არ განსხვავდება დაბა-ქალაქისაგან. სწორი ქუჩები ორმხრივ დარგული ხეებით, მოასფალტებული და ფართო ტროტუარებით, ბაღი და სკვერი, სადაც აღმართულია ლენინისა და შოთას ძეგლები. კულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, კინოთეატრი, საავადმყოფო, სამკურნალო აბანო ბუნებრივი ცხელი წყლით, პავილიონები, სასპორტო მოედანი, სადაც ახალგაზრდობა ერთობა და იწვრთნება.

ასპინძის კოლმეურნეობაში მშვიდობიან შრომას ეწევიან ხიზაბავრიდან, საროდან და ერკოტიდან ჩამოსული მკვიდრები, რომელნიც ძმურად შეეწყვნენ ჩხარიდან და დუშეთიდან ჩამოსახლებულ კოლმეურნეებს. ამ კუთხეში ხელახლა განვითარდა მევენახეობა. იმერლებმა თან მოიტანეს ვაზის სიყვარული და ნავენახარ ადგილებში აღადგინეს ზვრები. შემოდგომობით კვლავ ტრიალებს მაჭრის სურნელი, გაისმის ქართული მრავალჟამიერიც, ვაზთან ერთად მივიწყებული რომ იყო. დუშელებმა პირუტყვის სიყვარული მოიტანეს. აქ დახვდათ მესხური ჯიშის ხილის ბაღები და ახლა არც ერთი დარგი ერთმანეთს არ ჩამორჩება. მიმდინარე წელს ასპინძის რაიონში ოთხმოცი ჰექტარი ხილის ბაღები გაშენდა. ადამიანის თვალს იტაცებს თავის სიწითლით მესხური „მამულო“, მთლად თეთრი „რძეევაშლა“ და ოდნავ სიწითლე გადაკრული „მეფის ვაშლი“.

სოფელ ოთაში ერთმა ხემ ათასხუთასი კილოგრამი ვაშლი მოისხა. ამ ხის ყოველ ტოტს სარი ჰქონდა შედგმული, რომ არ ჩამომტვრეულიყო. მას უვლიდა კოლმეურნე გრიგოლ ბუცხრიკიძე, რომლის გაპიროვნებულ ნაკვეთზეც ბევრია ისეთი ხეხილი, რომელიც ნახევარ ტონა ვაშლზე მეტს ისხამს. შარშან მესხურმა ვაშლმა ხარისხისა და მოსავლიანობის მაღალი მაჩვენებლების გამო საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო.

ასპინძის მახლობლად, ახალქალაქის მიმართულებით ორი ნასოფლარია — ჩიხორიში და ხვირიშა. ამ სოფლებს წყაროები ჩამოუდიოდათ, მისი პატარა ხევები ახლაც უერთდება მტკვარს. ჩიხორიშის წყალი წმინდა და ანკარა ყოფილა, ხვირიშასი მღვრიე და უგემური. ერთხელ, როდესაც მესხეთს ყიზილბაშები შემოსევიან, ჩიხორიშიდან გაუტაციათ ერთი მეტად ლამაზი ქალი. იგი ყიზილბაშთა სარდალს მოსწონებია და ცოლად შეურთავს. ძალზე შეჰყვარებია კიდეც. თვალმარგალიტით აუვსია, დიბა-ატლასით მოურთავს, ფუფუნებაში ჰყოლია, მაგრამ ქართველი ასულის გული მაინც ვერაფრით ვერ მოუგია. ჩიხორიშელი ქალის თვალი სამშობლოსაკენ იცქირებოდა, ფიქრით სულ მუდამ მშობლიურ კუთხეს თავს ევლებოდა. ნატრობდა ჩიხორიშს, სადაც დაიბადა, სადაც გაიზარდა. ესწრაფოდა იმ წყაროს, საიდანაც ყოველდღე კოკით წყალს ეზიდებოდა. მტკვრის პირას გაშლილ ბაღებს, სადაც ფეხშიშველა დარბოდა. ყველაფერ ამას ნატრობდა ასული, მაგრამ შორს იყო იგი, ცხრა მთისა და ცხრა ველის იქით. ასულის ნატვრა და ოცნება დარდში გადაიზარდა, წუხილად იქცა. უზომო დარდს და ნაღველს მიეცა. გახდა, გაფითრდა, დასნეულდა. ნაღველმა ჩამოადნო. სწუხდა სარდალიც, ხელიდან ეცლებოდა ლამაზი ქართველი ქალი. თვალ-წარბში შესცქეროდა, ოღონდ რამე ეთხოვნა, რომ მისი სურვილი შეესრულებინა.

ერთხელ მართლაც ინატრა თავისი სოფლის წყაროს წყალი. დავლევ და მოვრჩებიო, უთხრა თავის მოძალადე ქმარს. სარდალმა მაშინვე საქართველოსაკენ წყლის მოსატანად აფრინა კაცი, ჩავიდა იგი გავერანებულ სოფელში. წყაროს წყლით აავსო გუდა, ზურგზე მოიგდო და გამოეშურა. შუა ზაფხული იყო. ცხელოდა. მოდიოდა ჩქარი ნაბიჯით, ისიც ესწრაფოდა ქალბატონის შველას. დაღლილ-დაქანცული დასასვენებლად ჩამოჯდა გზაზე. წყალი მოსწყურდა. იქვე წყარო რომ ვერ ნახა, გუდას პირი მოუხსნა და მწყურვალი წყალს დაეწაფა. კარგა ხანს იკლავდა წყურვილს. ბოლოს გუდას პირი შეუკრა, ზურგზე მოიკიდა და კვლავ გზას გაუდგა. გუდა ნაკლული იყო და უშნოდ ჭანჭყარებდა. გვერდში ჩაუარა სოფელ ხვირიშას. აქაც მოდიოდა წყარო, ხვირიშას წყალი. გაჩერდა და ხვირიშას წყლით შეავსო გუდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, დაბრუნდა იგი თავის მბრძანებელთან.

როდესაც ლოგინად ჩავარდნილ ქართველ ასულს სასმისით მშობლიური სოფლის წყაროს წყალი მიაწოდეს, მან დაბედა წყალს, გაიღიმა და სიხარულით ათრთოლებული ხელით ბაგესთან მიიტანა. იგი სულის ამოუთქმელად სვამდა წყალს, ტკბებოდა ნანატრი სასმელით. დალია... მერე შეხედა მომტანს და თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა...

ასპინძის რუსთაველის სახ. კულტურის სახლი.

„რა კარგი ხარ, ჩიხორიშო,
ხვირიშა რომ არ გერიოს!“...

მიხვდა რომ ჩიხორიშის წმინდა წყალი არ იყო იგი...

მერე სასმისი ხელიდან გაუვარდა და თავიც გადაუვარდა ბალიშზე.

ყოველმა ასპინძელმა იცის ეს გადმოცემა...

დღეს რაღა ხდება საქართველოს ამ კუთხეში?..

მთლად გარდაქმნილა აქაურობა. საქართველოს ეროვნული დღესასწაული, განახლებული ცხოვრების მეორმოცე წლისთავი, კარზეა მომდგარი და რაიონი თავის წარმატებებს ამოწმებს. კომკავშირულმა ახალგაზრდობამ მოიწვია ამ კუთხეში დაბადებული ადამიანები, რომლებიც დედაქალაქში მოღვაწეობენ.

აგერ შალვა მიქელაძე, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ოთხმოცდახუთი მეცნიერული შრომის ავტორი, დარბაისელი, დინჯი მოხუცი. აქ იმყოფება პროფესორი გიორგი ტივაძე, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მესხეთ-ჯავახეთის ისტორიის დადგენას. სახელგანთქმული ქართველი გენერალი მიხეილ მიქელაძე, შუბლშეკრული და მოღუშული, მაგრამ ალალი და კეთილი გულის ადამიანი, სამამულო ომში თავგანწირულად მებრძოლი და მრავალჯერ გამარჯვებული, რომელმაც თავისი მარჯვენა სამშობლოს შესწირა. მათ გვერდში დგანან ახალგაზრდა კომპოზიტორი ვალერიან მაღრაძე, ფილოლოგი ილია მაისურაძე, რომელსაც ჩაუწერავი არ დარჩენია ამ კუთხის არც ერთი მთის, ველის, წყაროს სახელი.

მათი მშობლიური სოფლებიდან ქილდადან, საროდან, ერკოტიდან, კოთელიიდან, დილისკარიდან მათ სანახავად ასპინძაში ჩამოსულან მშრომელი კოლმეურნენი.

ასპინძელი მასპინძლები ათვალიერებინებენ თავიანთ ნამოღვაწარს, აცნობენ მიღწევებს, საღამოთი კი, ახლად აშენებული კინოთეატრის ნათელ დარბაზში ერთმანეთს ხვდებიან კოლმეურნენი, მუშა-მოსამსახურენი, კომკავშირული ახალგაზრდობა და თბილისიდან ჩამოსული სტუმრები, სადაც თვალნათლივ გამოიხატა, თუ რა მისცა მშრომელ, შემოქმედ ხალხს და ქვეყანას ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ და საბჭოთა ხელისუფლებამ.

ᲓᲐᲡᲯᲐᲥᲐᲠᲘ

შუადამეა... ძილმორეული ქალაქი თვლემს. ბინებში მხოლოდ აქა-იქ ციმციმებს სინათლე... პროფესორი სოფიო ბუაჩიძე კი ამ დროს მაგიდას უზის და ადამიანის სიცოცხლეზე ფიქრობს...

ამ საღამოსაც დაღლილი მოვიდა სოფიო საავადმყოფოდან, გულის ოპერაცია გააკეთა, ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა... ავადმყოფმა თვალები რომ გაახილა, სოფიოს სახე ღიმილმა გაანათა, მერე კი გაიფიქრა: სიცოცხლემ სძლია სიკვდილს, აწი არაფერი უჭირსო... ფანჯარასთან მივიდა და სარკმელი გამოაღო, გრილი ჰაერი შეისუნთქა, ეამა... სარკმელი მიხურა და მაგიდისაკენ გაემართა, დაჯდა, მარჯვენა ხელი, ნიკაპქვეშ ამოიდო, ჩაფიქრდა...

მერე უცბად გაახსენდა, რომ უკანასკნელი ფოსტა არ უნახავს, ვინ იცის, იქნებ სასწრაფო საქმეა... წერილების დასტას რომ გადახედა, გაეღიმა.

ყველა წერილი სათითაოდ გადაიკითხა, ერთმა ყველაზე მეტად ააღელვა სოფიო...

— ისევ მოვიდა გაზაფხული, უკვე ჰყვავის ტყემალი და ნუში... დიდხანს ვდგევარ და გავსცქერი მწვანე ქათიბით შემოსილ მთებს და ველებს, ვუსმენ მდინარის ტალღების ჩხრიალს და ნაკადულის ლიკლიკს... ვგრძნობ, რომ იღვიძებს ბუნება... უკვე კარგად ვარ, ტკივილები აღარ მაწუხებს, მინდა ჩემს საყვარელ საქმეს დავუბრუნდე, მაგრამ ჩვენი ფერმის მწველავი ქალები მეუბნებიან: მაია, დაისვენე, მომჯობინდი, შრომას მერეც მოესწრებიო... ახლა ერთი ჩემს გულშიაც ჩამოიხედონ, მომწყინდა უქმად ჯდომა, მინდა რამ გავაკეთო სასარგებლო... საკვირველი თურმე არაფერია ამქვეყნად... არა-

ვინ ფიქრობდა ჩემს გადარჩენას, ახლა კი... თქვენმა კურთხეულმა მარჯვენამ სიკვდილისაგან მიხსნა და ქვეყნის სიკეთეზეც მაფიქრებინა...

სოფიოს თვალწინ წარმოუდგა მწვავე ტკივილებისაგან აკვნესებული ახალგაზრდა ქალის სახე... თითქოს ყრუდ, მაგრამ ახლაც ჩაესმა ჩურჩულით ნათქვამი მაიას სიტყვები: ექიმო, შენი ჯირიმე, მიშველე!...

ოპერაცია, მღელვარება, ავადმყოფი ქალის ნათესავებისა და მეგობრების აცრემლებული თვალები, ოპერაციის წარმატებით ჩატარებით გამოწვეული სიხარული, აღფრთოვანება... მისი მადლიანი მარჯვენის ქება...

გულს მოეფონა სოფიოს... მერე უკანასკნელი კონვერტიც გახსნა და თვალებს არ დაუჯერა, ეს ხომ კახპიდანაა, გრიგოლის წერილი...

— პატივცემულო სოფიო,—წერდა გრიგოლი,—ისე მოვდონიერდი, რომ უკვე წერილს გწერ... კარგად მახსოვს, როგორ ვშიშობდი, თბილისში რომ მოვყავდი, როგორ ვწუხდი და ვფიქრობდი გამიკეთებდნენ ოპერაციას თუ იტყოდნენ: გვიანიაო...

ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში რომ მომათავსეს და ექიმებმა დიაგნოზი დასვეს, მართალი გითხრა, აღარაფერი არ მაინტერესებდა, როგორღაც მოვეშვი და ავადმყოფობას დავემორჩილე...

თქვენ მითხარით:—გრიგოლ, ოპერაცია უნდა გაგიკეთოთ, გულში შიშის ნატამალი არ გაივლო, ყველაფერი კარგად ჩაივლისო... მაგრამ ეს შენი განწყობილება კი არ მომწონს, ჰო, რას მოიღუშე, განა ერთხა და ორს გაუკეთებია ასეთი ოპერაცია?! შენ რა, ვაჟკაცი არა ხარ? ავადმყოფობას ხომ არ უნდა დაუვარდე?! მე ხმა არ ამომიღია, გიხმენდი და მჯეროდა თქვენი სიტყვებისა...

ერთი კვირის შემდეგ გთხოვეთ გეთქვათ ჩემთვის, თუ როგორ ჩატარდა ოპერაცია.—გულმკერდი გავხსენი,—მითხარით თქვენ,—საყლაპავი მილის ქვედა ნაწილი ამოვკვეთე და აღვადგინე...

თქვენ ამას ისე ამბობდით, თითქოს ეს სულ უბრალო რამ ყოფილიყო. მაგრამ მე კარგად ვიცოდი, თუ რა დიდი ძალღონე მოანდომეთ ამ რთულ ოპერაციას...“

ამ წერილმაც მრავალი მოგონება აღუძრა სოფიოს... მერე წერილები ერთად დააწყო და საძინებელ ოთახში შევიდა... მძინარე შვილს—ათი წლის მარინეს დახედა, სახეზე ჩამოშლილი თმის კულულები გაუსწორა და დაწვა.

უყვარს სოფიოს თავისი პროფესია, უყვარს მთელი არსებით, გატაცებით და განა შეიძლება არ უყვარდეს? ეს ხომ მისი მოწოდებაა... ახლაც კარგად ახსოვს სოფიოს პროფესორ გრიგოლ მუხაძის სიტყვები: ქირურგია რა შენი საქმეა, არა სჯობს უფრო იოლი დარგი აირჩიო! ეწყინა სოფიოს (მაშინ ახე ეძახდნენ), გაწითლდა და თავი ჩაღუნა... გრიგოლმა იგრძნო ეს, ქალიშვილთან მივიდა და ალერსით უთხრა: ნუ მოიწყინე, ყველაფერს მომავალი დაგვანახვებს... ახლა კი შეუდექი შენი მოვალეობის შესრულებას... მერე ეგნატე ფიფიას მიუბრუნდა და დაბალი ხმით უთხრა: ეტყობა, ეს გოგონა ისეთი გამბედავია, ნამდვილი ქირურგი დადგებაო...

მერე ყვარელი, რაიონული საავადმყოფო... პირველად გაუძნელდა სოფიოს რაიონში მუშაობა, აქ ყველაზე გამოცდილი ქირურგი თვითონ იყო. პირველ ღამესვე ერთი კოლმეურნე გლეხი მიუყვანეს—ელენთა ჰქონდა გახეთქილი. ოპერაცია საჩქარო იყო. ერთი წუთით მას თავში აერია ყველაფერი, რაც აქამდე იცოდა... იხსენებდა სახელმძღვანელოებს, ფიქრით ფურცლავდა იმ ადგილს, სადაც ელენთის შესახებ ეწერა. შემდეგ ნაწყვეტ-ნაწყვეტად მუხაძის კლინიკაში ჩატარებული ოპერაციები წარმოუდგა და ბოლოს, პროფესორთან გამოთხოვება: „შენი იმედი მაქვს, ჩემო სოფიო“... უცბად გონება გაუნათდა, ყველაფერი დალაგდა... ოპერაცია ისე კარგად გააკეთა, რომ მეორე დღეს ყვარლელები ამბობდნენ: ჩვენისთანა ექიმი არავის ჰყავსო.

რაიონში მუშაობის დროს სოფიო არ წყვეტს კავშირს პროფესორ გრიგოლ მუხაძის კლინიკასთან, ვულმოდგინედ ემზადება ასპირანტურაში გამოცდების ჩასაბარებლად... 1938 წელს იგი ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის ასპირანტად ჩარიცხეს. ორი წლის შემდეგ სოფიო ბუაჩიძე წარმატებით იცავს დისერტაციას მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ვენური ნარკოზი ბარბიტურატებით“...

დიდი სამამულო ომის პირველი დღიდანვე სოფიო საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა. ფრონტის ხაზზე, მძიმე პირობებში, სოფიოს ხშირად დღეში ოცდაათამდე ოპერაციის გაკეთება უხდებოდა...

ერთ ღამეს ჰოსპიტალში ბევრი დაჭრილი მოიყვანეს. მათ შორის იყო ოფიცერი ალექსანდრე ივანოვიც... დოლბანდით შეხვეულ პირსახეზე ალექსანდრეს მოუჩანდა მხოლოდ თვალები, რომლებიც მხსნელს დაეძებდნენ... თეთრხალათიანებმა მას ერთი ქალი დაანახეს და უთხრეს: ეს არის ჩვენი ჰოსპიტლის მთავარი ქირურგი სოფიო ბუაჩიძე... ნუ გეშინია, მან ბევრ შენისთანას აჩუქა სიცოცხლეო...

ოთახში გამეფებულმა უჩვეულო ხიწყნარემ ლამის გული წაართვას დაჭრილს. სიმშვიდეს მხოლოდ საოპერაციო ინსტრუმენტების ჩხრიალი არღვევს... სახე აღარ უჩანს სოფიოს, დოლბანდის ნიღაბი უფარავს... თვალები კი ისე მომდიმარი აქვს, თითქოს აქ არაფერი ხდებაო...

— საშა, გეთაყვა, კიდევ ცოტა მოითმინე და მალე დავამთავრებთ... აი, უკვე ამოვიღე ყუმბარის რამდენიმე ნამსხვრევი, შეგიძლია სამახსოვროდ შეინახო...

— მტკივა,—კვნესის ალექსანდრე და კბილებს აღრჭიალებს...

— არაფერია, მალე მოგირჩება, ქორწილამდე დაგიამდება ყველა იარა... გგონია, არ ვიცი შენი გულისნადები? ნატა, შენ რაღას იტყვი?—ეკითხება სოფიო კედელთან ატუზულ შავთვალებიან გოგონას...

— რა ვიცი, აბა!..—თავს აქნევს ნატა და სახეზე ღიმი უკრთის...

ქორწილამდე მოგირჩებაო, ახე თქვა მაშინ სოფიომ და, მართლაც აუხრულდა ეს ალექსანდრეს... იგი განიკურნა, ნატა ცოლად შეირთო და თბილისში დასახლდა.

ჰოსპიტალში დაჭრილთა რიცხვმა იმატა... ვინ იცის, სოფიო მერამდენე ღამეს ათევდა... ერთი მძიმე ავადმყოფის ბედი აწუხებდა და მის სანახავად შევიდა. მეომარს თვალები დაეხუჭა და აჩქარებით სუნთქავდა. სოფიოს დაენანა მისი გაღვიძება და ის იყო უნდა გამობრუნებულიყო, რომ ავადმყოფის ხმა მოესმა...

— პატივცემულო სოფიო, ერთი სათხოვარი მაქვს...

— ჰო, მითხარი, გისმენ!

— მინდა თქვენი კარგი ქალობის ამბავი ყველამ იცოდეს, მშობლიურ უკრაინას რომ დავუბრუნდები, ჩემს თანამემამულეებს ვუამბობ, თუ რა თავდადებით იბრძოდით თქვენ ყოველი საბჭოთა მეომრის სიცოცხლისათვის. მინდა გავიგო, ვინ არიან თქვენი მშობლები, გყავთ თუ არა მეუღლე, შვილები...

— თუკი ეს საინტერესოა, ყური დამიგდე. გეტყვი, კოლია... საქართველო პატარა, მაგრამ ლამაზი ქვეყანაა,—დაიწყო სოფიომ.—დავიბადე ხარაგაულში, იქ გავატარე ბავშვობა, ვსწავლობდი სოფლის სკოლაში... მამა ადრე გარდაიცვალა და შვიდი შვილის აღზრდა დედამ – მარიამმა იკისრა... ძნელი იყო მაშინ ასეთი დიდი ოჯახის მოვლა, მაგრამ დედაჩემი არ შეუ-

შინდა გაჭირვებას, ბევრს მუშაობდა და ლუკმა პური სანატრელი არა გვქონია...

ჩვენი ოჯახი ადრე გრძნობდა მოახლოებული ოქტომბრის რევოლუციის შუქს. უფროსი ძმა სოსო რევოლუციური მოძრაობის მონაწილე და უდრეკი ბოლშევიკი იყო. დანარჩენი ძმებიც მის გზას გაყვნენ და შემდეგში ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები გახდნენ..

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩვენი ოჯახი, ისე როგორც ყოველი პატრიოტი ქართველი, დიდი სიხარულით შეხვდა. ასრულდა ჩემი უფროსი ძმების სანუკვარი ოცნება... ოჯახის ყველა წევრმა უმაღლესი განათლება მიიღო, მათ შორის მე ექიმი გავხდი და, ომს რომ ხელი არ შეეშალა, ახლა უკვე დოქტორი ვიქნებოდი... მყავს მეუღლე, რომელიც ამჟამად სამშობლოს იცავს. მისი სახელია გიორგი, გვარი გუნია...

— გიორგი გუნია თქვენი მეუღლეა? ჩვენ ხომ ერთად ვიბრძოდით!..— აღმოხდა მეომარს.

— როგორ?!

— მტერი წინ მოიწევდა, მე დაჭრილი გამოვიყვანეს ბრძოლის ველიდან.. როგორც შემდეგ გავიგე, გიორგი სხვა მეომრებთან ერთად, მტრის რკალში მოხვდა...

სოფიომ წამწამები დახარა, მოიწყინა, ეს შეატყო ავადმყოფმა და დაამშვიდა: ის უთუოდ ცოცხალია, შინ გამარჯვებული დაგიბრუნდებაო.

სოფიო ყოველდღე ელოდა ქმრის წერილს. ვინ იცის, იქნებ ეს ლოდინი არასოდეს დასრულდეს? მაგრამ არა! ადამიანს მომავლის იმედი აცოცხლებს. სოფიოს გულშიც არასოდეს გამქრალა იმედის ნაბერწკალი...

დღეები კი ქროლვით მისდევდა დღეებს. საბჭოთა მეომრები მიერეკებოდნენ გერმანელ ფაშისტებს, ახლოვდებოდა მტერზე გამარჯვების დღე.. მალე ის დღეც მოვიდა და სოფიოსათვის დიდი სიხარული მოიტანა, ომგადახდილი გიორგი გუნია გამარჯვებული დაუბრუნდა ოჯახს...

მშვიდობიან დღეებში აყვავდა სოფიო ბუაჩიძის ნიჭი და უნარი. მალე იგი მიემგზავრება მოსკოვს და იქ საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის დოქტორანტურაში ამზადებს სადოქტორო დისერტაციას, რასაც შემდეგ ბრწყინვალედ იცავს...

უკვე ორმოცდამეშვიდე გაზაფხულს შეხვდა სოფიო, ჯერ მის მადლიან მარჯვენას დაღლა არ დასტყობია...

სოფიო სამუშაო კაბინეტში შედის. მაგიდაზე გადაშლილი წიგნები აწყვია, აქვეა ნაწერიც... საწერ მაგიდას მიუჯდება, ხვალინდელ დღეზე ფიქრობს. საფიქრალი კი ისევ ბევრი აქვს: ხვალ ფილტვის ექინოკოკის ოპერაციას გააკეთებს, შემდეგ მეხუთე კურსის სტუდენტებთან ლექციას ჩაატარებს, დისერტაციაზე მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებსაც რჩევა-დარიგებას მისცემს... საღამოს კი თავის ამომრჩევლებთან ანგარიშის ჩასაბარებლად გაემგზავრება ხულოში...

შეხვდება თავის ამომრჩევლებს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ქალი სოფიო ბუაჩიძე და თავის ქებას ხომ არ დაიწყებს. ხომ არ ეტყვის, რომ იგი 50-მდე მეცნიერული შრომის ავტორი და ავადმყოფთა გულის მესაიდუმლეა, დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და რამდენიმე მედლით, რომ მან ხულოს საავადმყოფოს გაუგზავნა მოძრავი რენტგენი, საოპერაციო მაგიდა და დიდძალი ინსტრუმენტები, მრავალ აპარატს დაეხმარა და ხელი გაუმართა. არა, ყოველივე ეს კარგად იციან ამომრჩევლებმა. „აი, წყალსადენის მილების შესახებ რას ვეტყვი, ხულელები ხომ კარგა ხანია ელიან მილებს!“—ფიქრობს სოფიო და თვითონვე პასუხობს: „მართალია, ეს ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ მაპატიეთ, მეგობრებო, მალე ამასაც შეგისრულებთ!“...

გივი თევზაძე

ბათუმი-59

ბული ნაკაიძემაც დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მაშინვე ოსტატის თანამდებობა შესთავაზეს ახლად დაარსებულ ქარხნის სამღებრო-საპმწყობო საამქროში.

— ამ საქმეს, როგორც იქნა, გავართვი თავი,—ამბობს ეს ტანმკვრივი ჭაბუკი და შავგვრემან სახეზე თანდათან ეფინება ღიმილი.—მერე კი სამღებრო-საამწყობო საამქრო მთლიანად ჩამაბარეს, უხელმძღვანელეო.

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა იღებდა ნამდვილი ქარხნის სახეს. ...საქმის უკეთესად წარმართვისათვის რიგის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანაში ორი თვით გაიგზავნა 30 მუშა და ინჟინერი. ჯგუფს ინჟინერი დავით ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობდა—მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის კურსდამთავრებული, საპროექტო ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი.

...გასული წლის აგვისტოში დაბრუნდნენ რიგიდან და სულ მალე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ქალაქებში გაჩნდა სარეცხი მანქანები „ბათუმი—59“.

„ბათუმი — 59“ ისე, როგორც „რიგა — 55“ რეცხავს 2 კილოგრამ მშრალ სარეცხს, ორივეს ხელით სატრიალებელი საწური აქვს. განსხვავება ისაა, რომ რიგის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა ამ მანქანას 1955 წლიდან უშვებს, ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა კი—1959 წლიდან.

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა ემსახურება თბილისს, ბაქოს, ერევანს, ქუთაისს, ფოთს, სოხუმს, კიროვაკანს და ამიერკავკასიის რესპუბლიკების სხვა ქალაქებს. აქედან უფრო მოსახერხებელია მომხმარებლისათვის ადგილად და დროულად მიწოდება...

ახლა ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები მუშაობენ მექანიკურ-უნივერსალური საწურის გამოშვებაზე. ამ საწურში გაიწურება და კიდეც გაშრება სარეცხი. გამოიყენება ხილის გამოსაწურავადაც.

ამ მანქანის პირველი ცალი უკვე დამზადდა და მალე მიიღებს მომხმარებელი.

ქარხნის კონსტრუქტორები აკაკი ცივაძე, რევაზ ჩხაიძე, გრანტ არუთინიანი, საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი ბორის ლირიკი და სხვები მუშაობენ ახალი უნივერსალური სარეცხი მანქანის პროექტზეც. ეს მანქანა გარეცხავს, გაწურავს და კიდეც გაშრობს სარეცხს. ექნება რეგულატორი და საჭიროებისამებრ გამოითიშება.

ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ ზეინკლებს ილია პანიდს, რადარ კაიკაციშვილს, ცვლის ოსტატს ალექსი მახნატკინს და სხვებს. მათ გვერდით დგანან ახალგაზრდებიც, რომელთა უმეტესი ნაწილი საბჭოთა არმიიდან და საშუალო სკოლის მერხიდან სიმწიფის ატესტატით მოვიდა.

ბული ნაკაიძე გვაცნობს მუტამბაგების მთელ ჯგუფს—იზოლდა კამლაძეს, ხურაბ ხალვაშს, ლარისა ღლონტს...

იზოლდამ და ლარისამ საშუალო დაამთავრეს, ხურაბი კი მუშა-ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობს...

— ეს მიხეილ დოლიძეა.—მიგვითითებს ბული ახოვანი ტანის ჭაბუკზე.—მიხეილმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახური მოითავა და ახლა ჩვენთან მუშაობს. საუცხოო ახალგაზრდაა—დაუზარებელი, მშრომელი.

ბული ნაკაიძეს თავისი საამქროსაკენ მივყავართ.

საშუალო ტანის, ფართო და ცქრიალა სახის ქალიშვილი სარეცხის მზა მანქანებს დასტრიალებს თავს: სუფთა ჩვრით წმენდს, თავსახურს აძრობს შიგ იხედება, ამოწმებს, პასპორტსა და სარეცხის ამოსალებ ხელსაწყოს დებს და მერე მანქანას დიდ ქაღალდში კოხტად ფუთავს.

— ეს ჩემი საამქროს მოწინავე მუშაა—ნათელა კაიკაციშვილი. ნათელა წელს მოვიდა მახინჯაურის საშუალო სკოლიდან სიმწიფის ატესტატით. ხან მანქანას აწყობს, ხანაც გასაგზავნად ფუთავს. მისი თანაკლასელები და ამხანაგებიც არიან აქ—იზაბელა შენგელია, ნებული ჭურიძე, ენვერ ნაკაშიძე, თამაზ გურიელიძე. ნათელა, იზაბელა და ნებული უმაღლესზეც ოცნებობენ.

ბული ნაკაიძე წამით ჩერდება.

ჩვენი კოლექტივი თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია. მაგრამ ახალგაზრდაა თუ ხნიერი,—ყველა დაინტერესებულია ქარხნის წინსვლით და მონდომებით შრომობს.

ბათუმის ელექტროტექნიკური ქარხანა ჯერ სულ ახალია.

მალე კიდეც უფრო დამშვენდება და გაიზრდება. მაშინ უფრო და უფრო გაახარებს თავისი პროდუქციით ათასობით მომხმარებელს.

რაფდენ ჩაჩუა.



მნვანე ოქროს მგარეში

მზრაქ გოგართელი

ორმოცი წლის ამმაგალოსაში, მახარაძის რაიონში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რაიონები, პირველად და ერთგულად ეშესატრენოდა ჩვენი რესპუბლიკა ეროვნ გაძლიერების, ალორძინების და აყვავების სასაცტი საქმეს. დღეს ეს რაიონი ერთ-ერთი ზედაური და მოწინავეა საქართველოში.

ქეფმო მოთავეებენ ნარკვევებში ჩვენ შევეცადეთ ეკვეშმა მკითხველთათვის ამ რაიონის ცხოვრების ზოგიერთი მოხენებზე

კაცი—საუკუნე

შეადღისას სოფელში აბა ვის ნახავ, მითუმეტეს შემოდგომაზე ორეოიგეები, ბარაკზები, ხასხასა ეზოები დაცარიელებული და მიეზიტეული. ბაგრან გარა შემი ყველაფერი ისე საოცარად ლამაზი და ზღაპრული, რომ ამას ეურადღებას არ აქცევ: ქეეფმო ჩანისალელი ბევეები, მთის ფერდობებზე შეფენილი ციტრუსები, კიტრა რიგებად დარაზმული ჩაის პლანტაციები, ბაღრა-ბაღები, ყანები..ტეე და ვეღი ასეთია თითქმის ყველა სოფელი ეურიანში.

ასეთია ეკონომიკა.

ტალაქ მახარაძიდან რომ გამოვეეთით სამოდე კილომეტრი ვიარეთ სწორ ბეტონ ბაზეზე, მერე ეუღ ზემოთ და ზემოთ, მთა-მთა შემოეეეეეეთ მოკირწყლულ გზას და ამოვალწიეთ.

ბარიალეთ შეადღისას სოფელში კაკიას ნახვა ძნელია, მაგრამ ჩვენ ვინეე გვიანმტერესებს, ის აუცილებლად სახლში დაგვხვდება ამბობ, რომ ბაბ მოელი თავისი ცხოვრება ზრრიმანა და ეკოდში გაატარა, ამიტომ, რომ ბაბ ბატიოსნად გადაატანა თავის მხრეზზე რთელი ცხოვრების სიმძიმე, ამიტომ, რომ ბაბ ბეეერ ბეშმარიტ ქართელ ოჯახს ჩაუკარა სძირკეეეი და ახლა თავისი ცხოვრების მეაბე წელზე ზმეიდი, ტკბილი და ეეზრნეული დაცალებინის ღირსია. ამიტომაა, რომ ჩვენ ალჩქარებლად მიეეეეეთით ზარაკზეს, სოფეელს ვეეემობით, თვალს ეკიეეეთ ბოსტანეთა კარმიდამოებს.

... ასეთი სახლი სოფელში ბეერია: თეთრად ზეეეეთქილი, ორსართულიანები, ფართო რკინის კიბეებით და ნათელი ფერეფნით, ეროალი ეზოთი და სხვა „დამბანარე ნაგებობებით". სახლი კი ჩვეეეეეზეია, მაგრამ არა ბეკონია. რომ ისეთ ეზეეეეეთ მაცხოვრებლებს, როგორიც აქ, სადმე სხვაგან ზეგხვე: ეეერონა ამ ... ანში საღეეეეეს ეტბოლეეეა, ეზმერონი კი ზეეეს მეცან. ზეგმოეეეთმან ხვდება. ან. პირველად სწორედ ეს ასტანა ეკოეონა ეეეას. ეეეხდეეეეეთ ჩვენ ზესახეეეერაკ. კიბის თავეზე ფეკის. ეეეხდეეეეეთ ზეეეოლეეედეი ფა რიგლეეეეთაგან ამმოგეკეეეეს. ბერე ბაგზეეეს ფეეი გამონნეეეა, ბაა ეზონა ხაბარა ან დაკარგეეეეეს კიბეეზე. ჩვენ რომ ვკვანნეეეეეს, იბნეეეეეთ, თავზეალეეეს ინსანის, ეზეერანტეეეეეე

დებულებებს, შეჯიბრებაში იწვევენ ერთმანეთს. ,,ნატანებელი კოლმეურნე'' უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხდება. აი, ზოგიერთი რუბრიკა, რომლის ქვეშაც ყოველთვის საინტერესო მასალები იბეჭდება: ,,შვიდწლედის ადამიანები'', ,,ვინ ისახელა თავი?'' ,,ლიტერატურული კუთხე'', ,,სოფლკორები გვწერენ'', ,,საინტერესო თემაზე'', ,,იმრავლოს თქვენმა რიგებმა''. აუცილებლად მისასალმებელი და მეტად მოსაწონია, რომ გაზეთს წესად აქვს გამოეხმაუროს და სოფელს სხვადასხვა ხერხით გააცნოს ის ხალხი, რომლებიც საბჭოთა არმიის რიგებში არიან დროებით გაწვეულები, ამ ხასიათის მასალები იბეჭდება რუბრიკის ქვეშ: ,,ჩვენი სოფლის ადამიანები საბჭოთა არმიის რიგებში''. აი, ერთ-ერთი მათგანი: ,,მშობლებს გაუხარდებათ!'' ამას წინათ ჩვენ მივიღეთ ერთ-ერთი სამხედრო ოლქის გაზეთი და წავიკითხეთ მაიორი ე. გაცენკოს წერილი—,,დაუღალავად განვამტკიცოთ საბრძოლო მომზადება''. წერილში ნათქვამია: ,,თადარიგის ახალგაზრდა მებრძოლებმა ა. იარულასმა და კ. მენაბდემ თავიანთი სანიმუშო ყოფაქცევით და დისციპლინით დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს მთელს ნაწილში''. ეს მენაბდე გახლავთ ჩვენი სოფლის მკვიდრი, მეთერთმეტე ბრიგადის წევრის აქესენტი მენაბდის შვილი. აქვეა მებრძოლის სურათი. ეს მართლაც რომ გაუხარდებათ მშობლებს და სიამაყით დახედავენ სასახელო შვილის პორტრეტს. სამაგიეროდ ზოგიერთ მშობლებს სირცხვილის ალმური დასწვავს, როდესაც წაიკითხავენ თავიანთი შვილების უმსგავსო საქციელზე, რომელთა შესახებაც გაზეთი დაუნდობლად და მკაცრად წერს.

ნ. ქინქლაძეს მართლაც რომ კარგი ჟურნალისტური ალღო აქვს და ეს ეტყობა მის გაზეთებსაც. თითქოს და ამის შესამოწმებლად ვთხოვთ მას მიგვაგნებინოს რაიმე საინტერესო ფაქტი, რომელიც უახლოეს ხანებში მოხდა რაიონში. რედაქტორი ერთ ხანს ფიქრობს და შემდეგ გვახარებს:



— ახლახან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების უნივერსიტეტი. აიღეთ ინტერვიუ მისი რექტორისაგან.

ჩვენ მოგვწონს იდეა და ერთი საათის შემდეგ უკვე ირაკლი გამყრელიძის კაბინეტში ვართ. იგი არის ახლად ჩამოყალიბებული უნივერსიტეტის რექტორი, ამავე დროს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

აი რა გვითხრა მან: ეს მართლაც, რომ მეტად სასარგებლო და საჭირო საქმეა. იგი დააახლოებს მეცნიერებს და სოფლის მეურნეობის მუშაკებს. როგორც ვიცი, ასეთი უნივერსიტეტი მთელ რესპუბლიკაში, ჯერჯერობით ჩვენთან გაიხსნა. მასში სამოცდაათ კაცი ირიცხება. მათ შორის არიან კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობის დირექტორები, აგრონომები, ბრიგადირები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები.

უნივერსიტეტის პროგრამაში: მეცნიერ მუშაკთა ლექციების გარდა, გათვალისწინებულია კოლმეურნეობის თავმჯდომარეების, მოწინავე მერგოლურების, მეჩაიეების და სხვათა მოხსენებები.

უნივესიტეტის მსმენელთათვის ლექციები გათვალისწინებულია თვეში ერთხელ, მთელი კურსი ორ წელიწადში დამთავრდება. უკვე ჩატარდა უნივერსიტეტის პირველი მეცადინეობა. მოსმენილი იქნა ორი ლექცია: ,,სოციალისტური სოფლის მეურნეობა და მისი როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში'', რომელიც წაიკითხა მეცნიერ მუშაკმა ა. იობაშვილმა, მეორე ლექცია თემაზე: ,,სუბტროპიკული კულტურების მოსავლის აღების წესები''—მომხსენებელი იყო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ფირცხალაიშვილი.

მეცადინეობა დიდი ინტერესით და წარმატებით ჩატარდა, ვნახოთ, რა იქნება შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის პაჭრიოჯი

— ექიმი ახლა, მოგეხსენებათ, ყველა სოფელშია და მათ შორის ჩვენთანაც, მარა ასეთი, როგორიც მიშაა, არსად არ მეგულება, მართლაც რომ შესანიშნავი ყმაწვილია,—ამას გვეუბნება სოფელ ვაკისჯვრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ანგია მდინარაძე. ანგია წითური, კოხტად ჩასხმული ვაჟკაცია, ცოცხალი და მეტად ენამახვილი.

იგი გვესაუბრება ამ სოფლის ექიმ მიშა ბოლქვაძეზე, იმ კაცზე, რომელიც მართლაც რომ სოფლის სული და გულია. ყოველი კარგი საქმის წამომწყები, ხელშემწყობი და გულშემატკივარი. მიშა არის სასოფლო საბჭოს პარტორგანიზაციის მდივანი, საჭირო შემთხვევაში ცვლის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, სოფლის სახალხო რაზმელების მდივანი, და რომელი უხამსი გაბედავს რამეს, როცა მის ჯგუფში ოცდაერთი ვაჟკაცია. მიშას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა და დღესაც მისივე მონაწილეობით წარმატებით გამოდის რაიონის პირველობაზე ფრენბურთელთა გუნდი, იგი ავარჯიშებს ფეხბურთელებს, მიშას ნახავთ მეზობლის სახლის მშენებლობაზე, ყანაში, მთაში. იგი ცხენით, ველოსიპედით, ფეხით გაჩნდება იქ, სადაც საჭიროა.

— დანარჩენს, აგერ მოდის და თვითონ გიამბობთ, —გვითხრა ანგიამ და მიგვითითა გზაზე მომავალ ორ მამაკაცზე,—მეორე ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე გედეგან სიამაშვილია.

მოგვიახლოვდა შავგვრემანი, წელგამართული ვაჟკაცი. მიშა საამო სახის ახალგაზრდაა, ნათელი თვალებით და პირდაპირი იერით.

— ავადმყოფთან ვიყავი და შემაგვიანდა,—მოგვიბოდიშა ექიმმა.

— მიშა, ერთი უამბე ამათ შენს ,,თავლაფდასხმულ საქმიანობაზე'' რამე,—ხუმრობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მიშა-ექიმს ეღიმება.

— რა ვუამბო, რა მაქვს სათქმელი: ინსტიტუტის პირველ კურსიდან ჯარში წამიყვანეს, ორმოცდახუთში დავბრუნდი, სწავლა გავაგრძელე, დავამთავრე და იმის მერე გემსახურებით.

— კეთილი და პატიოსანი!—არ ეშვება ანგია, —ის როგორ იყო: სოფელ მთისპირში რომ წაგიყვანეს შუა ზამთარში, ორ მეტრიან თოვლში რომ გახვედი და მოსე დოლიძის თოთო შვილიშვილს მთელი ღამე უთიე და გადაარჩინე?

— ჩემი საქმე ეგ არის!

— ის როგორ იყო,—ახსენებს ახლა გედეგანი,— კუკურა მდინარაძემ რომ ზვინის ჭოკის თლაზე ფეხი გადაიხლიჩა და შენ რომ დროზე არ მოგესწრო, ბიჭი სისხლიდან დაიცლებოდა?!

— ცხენით რომ წახვედი მთაში, ბახმაროს საძოვრებზე და თხუთმეტი დღე მწყემსებს მკურნალობდი, ის რავაღა იყო?!

— შეშის მჭრელებს ხარისადგომ მთიდან რომ ლოდი დოუგორდათ და ათ წუთში იქანა გაჩნდი...

— გუშინწინეებზე, შუაღამისას რომ წამოგაგდეს და იასონის ბოვშვს თიაქარი ჩაუგდე...

მიაყარეს და მიაყარეს მიშას.

— მოკლედ, თქვენ გცოდნიათ ჩემი ამბავი და მე რაღას მეკითხებოდით,—იცინის სოფლის ექიმი.

იციან, აბა, როგორ არ იციან?! კარგ საქმეს მთელი სოფელი დაინახავს და გაიგებს. ყველა ხედავს, რომ მიშა ბოლქვაძე ვაკისჯვრის პატრიოტია, ამიტომ უყვარს იგი ყველას, ამიტომაა იგი ყველას სასურველი სტუმარი, ამიტომ ლოცავენ მას სოფლის უხუცესი ადამიანები: იცოცხლოს და იხაროს ჩვენმა მიშა ექიმმაო.

რუსთაველის ნაკვალევზე

ლეგენდა იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი სიბერის ჟამს პალესტინაში წავიდა და იერუსალიმის მონასტერში თავისი უკანასკნელი წლები გაატარა, როგორც ჩანს, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ცოცხლობდა.

ჩვენი მეცნიერების ცნობით ამ ლეგენდას საკმაოდ იცნობს ქართული ფოლკლორიც. გამოირკვა ისიც, რომ მსგავსი ლეგენდა თვით იერუსალიმშიც არსებულა. ამას გვიდასტურებდნენ უკანასკნელ წლებში უკრაინელი მწერალი პლოტკინი თავის წიგნში „იზრაელში“ და საკდესის იზრაილელი კოოპერესპონდენტი ლოსელი თავის წერილში „ჯვარის მონასტრის საიდუმლო“, რომელიც მან გამოაქვეყნა გაზეთ „ვეჩერნი თბილისში“ გასულ წელს.

ჩვენი ისტორიული წყაროებიც, თუმცა ძუნწად, მაგრამ მაინც გვაწვდიან ცნობებს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში შოთას (მეჭურჭლეთუხუცესი) შესახებ.

ჯვარის მონასტრის აღაპებში თქმულია „ორშაბათს იხსენებოდეს შოთაი“.

მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც იმოგზაურა იერუსალიმში, გვაუწყებს „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათი ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია თქმელსა ლექსთა ბოროტთასა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და გარკვნა. ქრისტიანობა...—შოთამ ვიტყვი რუსთველსა მეჭურჭლეთუხუცესს თვითონაც შიგ ჰხატია მოხუცებული“ (ტიმოთე გაბაშვილს ეჭვიც არ შედის, რომ მეჭურჭლეთუხუცესი იგივე შოთა რუსთაველია).

ჩვენის აზრით, ჯვარის მონასტრის აღაპებში შოთას ხსენება და მის სვეტზე რუსთაველის პორტრეტის არსებობა უეჭველსა და უკამათოს ხდის ზემოთმოყვანილი ლეგენდის საფუძვლიანობას.

ცნობილია, რომ ჯვარის მონასტერში იმ ქართველ მოღვაწეთა ფრესკები და პორტრეტები იყო დახატული, რომელთაც რაიმე სამსახური მიუძღვოდათ ამ უძველესი ქართული ძეგლის წინაშე. ასე, მაგალითად: მირიან მეფემ, რომლის პორტრეტიც ჯვარის მონასტერში იყო, გადმოცემით პირველმა შეარჩია ჯვარის მონასტრისათვის ადგილი. ვახტანგ გორგასალმა გაანთავისუფლა მტერთაგან და აღადგინა იგი.

ამგვარივე დამსახურებისათვის იყო დახატული ბაგრატ IV ეურაპალატის, ლეონ დადიანისა და სხვ. პორტრეტები.

არ არის ჯვარის მონასტერში დავით აღმაშენებლის, თამარ მეფისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სურათები, რომელთაც შემთხვევა არ მისცემიათ და იქნებ იმ დროს საჭიროებაც არ მოითხოვდა, რაიმე დახმარება გაეწიათ შორეული იერუსალიმის ამ დიდი კულტურის კერისათვის.

აშკარა არის, რომ ტიმოთე გაბაშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ შოთას ჯვარის მონასტრის სვეტნი განუახლებინა და მოუხატვინებია, უეჭველი სინამდვილეა.

შოთა რუსთაველის პორტრეტის ჯვარის მონასტერში არსებობას ვვიდასტურებენ შემდეგი დროის მოგზაურებიც პალესტინაში. ერთმა მათგანმა, ნიკო ჩუბინაშვილმა, გასულ საუკუნეში გადმოხაზა კიდეც შოთას პორტრეტი და ამ ნახაზის მიხედვით სურათიც დაახატვინა ერთ რუს მხატვარს პეტერბურგში. ეს სურათი ამ ორიოდე წლის წინ ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა. რუს მხატვარს იერუსალიმის შოთა რუსთაველი თვალითაც არ ენახა და სურათიც, რასაკვირველია, სრულიად სხვა გამოუვიდა.

მე-19 საუკუნის ბოლოს ჯვარის მონასტერში შოთა რუსთაველის პორტრეტი გაქრა. ასე, მაგალითად, დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი, რომელმაც პალესტინაში იმოგზაურა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში, წერს: „ჯულით ვეძებე შოთა რუსთაველის სურათი და ძლივს შეინიშნე მარჯვენა მხარეს სვეტზედა. რადგანაც წაბღალულია ზედ წარწერა მას ზედა.“ ხოლო 1901 წელს ნიკო მარმა შოთა რუსთაველის სურათი უკვე ვეღარ შეამჩნია.

ფოტო ალფრედ ბერნჰეიმისა (იერუსალიმი)

ჩვენი ექსპედიციის მიზანი იყო შეგვეწავლა ჯვარის მონასტრის ქართული მასალები, რომელნიც რაიმე სახით მიგვითითებენ შოთა რუსთაველის ნაკვალევზე.

სამწუხაროდ, ჯვარის მონასტრის ყველა ქართული ძველი ხელნაწერი, აგრეთვე ძველი ბერძნული და არაბული ხელნაწერები, რომელთაც ოდესღაც ქართველ მოღვაწეთა ხელში გაუვლია, გადატანილი აღმოჩნდა სხვა ქვეყანაში. ჩვენი ერთადერთი სახრუნავი შეიქმნა მიგვეგნო, აღმოგვეჩინა და აღგვედგინა შოთა რუსთაველის პორტრეტი ჯვარის მონასტრის მარჯვენა სვეტზე, რასაც ჩვენ მივაღწიეთ კიდეც ჩვენი მეცნიერების გულმოდგინე ცდისა და შრომის შემდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში სათანადო დახმარება გაგვიწიეს იზრაელის ცნობილმა მეკნიერებმაც.

რამდენიმე დღე ვწმენდდით სპეციალური წამლებით ადგილს, სადაც შემთხვევით შოთა რუსთაველის პორტრეტი მივინიშნეთ. მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა სიხარული განიცადა ჩვენ დელეგაციის ყოველმა წევრმა, როდესაც პირველად მუქილურჯი ზეთის საღებავის სქელი ფენის ქვემოთ გამოჩნდა შოთა რუსთაველის მოსასხამის წითელი კალთა. მყისვე მოგვაჯონდა მისი ლიტყვები: „ვაცვთილსა ტანსა ემოსნეს ყაყუმნი უსაპიოონი“. შოთა რუსთაველს, როგორც ირკვევა, აცვია იმდროინდელი უმაღლესი საერო პირის სამოსელი. იგი წარმდგარია ბრძენ კაცის სახით ოდნავ დაღვრემილი ხელაპყრობილი იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმაარებლის წინაშე.

დღეს ჩვენ ხელთ არის შოთა რუსთაველის ჯვარის მონასტრისეული ნამდვილი პორტრეტი, რომელსაც ჩვენი მეცნიერები უდიდეს მონაპოვრად სთვლიან ქართულს რუსთველოლოგიაში.

ჩვენი მეცნიერების წინაშე გაიმართა ახალი ჰორიზონტი შოთა რუსთაველის საიდუმლოების ნისლით მოცული ბიოგრაფიის შესწავლისათვის.

თვისთავად ჯვარის მონასტრისეული შოთას პორტრეტი ხელოვნების შეუანიშნავ ნიმუშად წარმოადგენს.

შოთას პორტრეტის გარდა ჩვენმა მეცნიერებმა იერუსალიმიდან წამოიღეს მრავალი ძვირფასი მასალა, რომლის დამუშავებაც ბევრს რასმე ახალ გაგვაგებინებს პალესტინის მუნჯ, მაგრამ მრავლისმეტყველ ქართულ სიძველეთა შესახებ.

ირაკლი აბაშიძე



„თავისუფლება“
გელერტის მთაზე.
ბუდაპეშტი

„ფურნალ-გაზეთების
ფარდულთან.
ბუდაპეშტი



ბუდაპეშტი გელერტის მთიდან



ფეხბრეცენის ქუჩაზე

უნგრეთის ალბომიდან

მხატვ. ზ. ლეონოვი

ავტობუსების გაჩერებასთან.
დებრეცენი



ბალატონის პლიაჟზე

იახტები ბალატონის ტბაზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავუფრთხილდეთ

საქართველოს

გუნებას!

კოწიას ჭიშკართან

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ჭეიშვილი

მხატ. ზ. ფერეთელი

კინოში დაგვაგვიანდა...

— შევიდეთ!—დავფაცურდი მე და ბილეთების აღება დავაპირე...

— რაღა გვინდა...—ამბობს შესასვლელთან ჯიუტად თავდახრილი მზია.

— რა უჭირს, რა...

— არ მინდა...

მომიჭრა მზიამ და მე გაბრაზება დავაპირე, რომ ამ დროს, სამი თუ ოთხი ჩვენსავით დაგვიანებულები მოვარდნენ, ბილეთები აიღეს და შეცვივდნენ...

მე ისევ დავფაცურდი... მაგრამ მზია გაბრაზებულია და თავს აქანდურებს...

— წავიდეთ, აბა!.. — ვთქვი და გამოვბრუნდით.

გზას დავადექით და პირდაპირ მივდივართ...

მე ნაწყენი ვარ და ჩუმად მოვყვები მხარდამხარ...

მზია ისევ ჩუმადაა!...

მეც ჩუმად ვარ!...

მზია ალბათ, თავისთვის ჩურჩულებს!..

მეც ვჩურჩულებ...

უკვე ჩურჩულივით ისმის კინოს ხმაც...

სადღაც ძაღლები ჰყეფენ, ვიღაცა ხმამაღლა წაილაპარაკებს, ეზოში გამოსული ბიჭი წამოიმღერებს და მერე ისევ სიჩუმეა, სიჩუმეა, სიჩუმეა...

და, პრიიი, პრიიი, — გაიძახის რაღაცა...

მზია რას ბუტბუტებს. რას ფიქრობს?...

ტუჩები მაგრად მოუკუმავს, ხანდახან კი შეუთრთოლდება, ოდნავ შეუტოკდება და ისევ ფიქრობს...

მზია გაბრაზებულია!...

რა ჰქონდა ნეტა გასაბრაზებელი!... მაინც რამდენი დავიგვიანე?...

ჰე, ერთი, მაგრად ავუყვირდები და მერე ჩამოუშვას ცხვირი, მერე...

ამასობაში სოფლის ბოლოში გამოვედით.

ბოლო მოსახლე კოწიაა.

კოწიას ჭიშკრის პირდაპირ დიდი ცაცხვი დგას. ცაცხვის ქვეშ ჩამოვსხედით, მზია აქედან, მე იქედან... ისევ სიჩუმეა...

ჭიშკარმა გაიჭრიალა. ფეხის ხმაა... ალბათ, კოწია ჩავიდა ეზოში. კიბესთან რაღაცამ გაირაკუნა. მგონი თოხი მიაყუდა. ცოლს რაღაცა უთხრა. შემდეგ ცოლი და კოწია რაღაცაზე ადავდნენ, აჯიჯღინდნენ...



კოწიამ დაუყვირა:

— იმიზა, ე!.. დამიწყო ახლა აქანა...

ცოლმა რაღაცა წაიჯუჯღუნა, ისევ დაუყვირა კოწიამ და ცოლი გაჩუმდა...

ასე მოუხდება, ჩააგდებინა თუ არა ენა, მოუხდება...

მზიასაც მოუხდება, რომ ერთი მაგრად ავუყვირდე, აბა, რა უცნაურობაა ისეთ უბრალო რამეზე... დიდი რამეა, თუ დავიგვიანე... ჟურნალიც არ იქნებოდა გათავებული...

ჭიშკართან ვიღაცა ბიჭმა ჩამოიარა. ძაღლი აუყეფდა და მიაწყდა.

რა აყეფებს ნეტა?..

ხანდახან მაინც დიდი სულელები კი არიან ეს ძაღლები, აბა, რა აყეფებს?..

ბიჭი შეჩერდა. ხეს ჯოხი მიამტვრია და ჭიშკარში შეუსინა.

ძაღლი მთლად გადაირია...

ბიჭმა სიცილით ჩაიარა, ძაღლი ეზოს ბოლომდე მიჰყვა ყეფით, შემდეგ ისიც გაჩუმდა...

— კოწიაა... — კიბეზე გადმოდგა კოწიას ცოლი...

სიჩუმეა...

პრიიი, პრიიი,—გაიძახის რაღაცა...

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ისმის...

— კოწიაა... უუ...

— ეეიი...

— მაქანა ხარ ბოსტანში და ხმას არ მცემ ხომ? არ მოდი მაქედან ცოცხალი... კიტრი წამეიღე, კიტრი და ვივახშმოთ...

სიჩუმეა...

შევიშმუშნე. სულ არ მესიამოვნა ეს. არ ეკადრება ეგ მართას. რა დაძახებაა, ან რა ჰქვია ამას?..

მზიამ რომ ასე დამიძახოს, არ გავსკდები გულზე? ანდა პირიქით, მე რომ...

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა...

— გადარეული ხარ, ქალო, შენ?—რა გაღრიალებს ამ მელექეთში!—ოდნავ დაგუდული ხმით ჯავრობს კოწია...

მართამ რაღაც უპასუხა, კოწიამ აღარ მოუთმინა და ისევ ადავდნენ...

ხო, ხო, რა საყურებელი იქნება ახლა კოწია!... ის გრძელი ცხვირი მოკუზული ეჭნება, სახე მოჭმუჭნული, ტუჩებზე დორბლი... მართასაც მოჭმუჭნული სახე აქვს ახლა, თვალებიდან კი ნამდვილად ცეცხლს აფრქვევს...

მე რომ მზიას ასე ვუთხრა, მზიამ რომ ასე... არა, არა!... მზია რა ლამაზია, როცა კარგ ხასიათზეა!...

კოწიამ რაღაც გააბრახუნა, მგონი ხელი დაურტყა მაგიდაზე...

... მზიას კი როგორ უხდება კარგ ხასიათზე ყოფნა, როცა იცინის, რა ლამაზია მაშინ, მაშინ ის ყველას და ყველაფერს ჯობია... მე რომ დავუყვირო, მე რომ ხმამაღლა ვუთხრა რამე, მაშინ მას...

შემეშინდა, ავფაცურდი, გადავიხარე, ისიც გადმოხრილიყო ჩემსკენ, სულ ახლოს მოჩოჩებულა,ისე რომ არც კი შემიტყვია და შეშინებული, საოცრად შეშინებული თვალები აქვს...

ისევ სიჩუმეა...

კოწიასას უკვე ივახშმეს...

ისევ სიჩუმეა...

კოწიასას ალბათ სძინავთ...

— მე შენ ხალათს შეგიკერავ, დედამ რომ შალის საკაბე მიყიდა, იმისაგან შეგიკერავ, სუ, არ თქვა უარი...—მეჩურჩულება, მეხუტება აკანკალებული მზია და ტუჩებზე ხელს მაფარებს...

... ისევ სიჩუმეა...

...და, პრიიი, პრიიი,—გაიძახის რაღაცა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქილიოზების ძეძკვიდ/ი

ეტიუდი

ციკლიდან „ჩემი სოფლის სურათები“

— გაბო, შენ წინ გაიქეცი, ბაკის კარები გაალე.

გაბო ძროხებს წინიდან ურბენს, ბაკის კარს აღებს, გრძელ ჯოხს იქვე კარავთან მიაგდებს. საქონელი ნელა მიიზლაზნება, რაკი პირველი შველია ძროხა შევიდა, სხვებიც მისდევენ, კარებში იჭედებიან, ერთმანეთს რქებს უქნევენ. გაბო ბრაზდება, ისევ იღებს კარავთან მიგდებულ გრძელ ჯოხს და „დიიდო, შე სამგლე!“ დასჭყივლებს, ბაკის კარებთან ძროხების ჯგუფს შეათხელებს და განზე დგება, გრძელ ჯოხს კარავთან აღარ აგდებს, ისევ ხელში უჭირავს.

შერეკეს, კარი გამოხურეს.

გაბო ურმის ხელნაზე ჩამოჯდა, მიხამ ჯერ წყალი მოსვა, მერე ისიც გაბოსთან მწვანეზე წამოწვა.

—დღეს ცხელოდა ძალიან,— სთქვა მიზამ,—კარგად ვერა ძოვა საქონელმა, ვაი თუ წველამ დაიკლოს.

— ბევრს არ დაიკლებენ არაფერია,— დაამშვიდა გაბომ.

მოვიდნენ მწველავები, ჯერ თებრო, მერე თალიკო, ოსანა, ვართანუშა, ბაბალე. არ მოვიდა მხოლოდ მაია.

— მაია რად იგვიანებს?—კითხულობს გაბო.

— მაია აღარ მოვა!

— სამოცდახუთი წლის დედაკაცია, დრო არ არის დაისვენოს?

— გაანთავისუფლეს.

— გაანთავისუფლეს და პენსიაც დაუნიშნეს.

— 1933 წლიდან მწველავად უშაობს დედაკაცი.

— თურმე ერთი მილიონი ლიტრი რძე აქვს მიღებული ოცდაშვიდ წელიწადში.

— და მერე იცი მილიონი ლიტრა რძე რამდენ ბიდონს გაავსებს? ოცდაექვსიათას სამასი ბიდონი რძით სავსე, როგორია!

— ეს რძე მაწვნად რომ შეადედო და ქილებიც გაამწკრივო, ასოც კილომეტრ სიგრძეზე ძლივს მოთავსდება, როგორია!

— ვინ მოყავთ მწველავად მაიას მაგივრად?

— ვინ და მაია.

— როგორ თუ მაია?

— შვილიშვილი მოჰყავს მაიას თავის ძროხებში.

— რას ამბობ, არ გამიგია!

მზის ჩასვლის წინ ჩიტებმა ჟღურტულს უმატეს.

ქალები მოგონებებმა წაიღეს, ყველას სურს რაღაც თქვას მაიაზე, ხომ ყველას უმუშავნია ამ სახელგანთქმული მწველავის გვერდით, მაიას ლენინის ორდენი ჯერ კიდევ ოცი წლის წინ მიუღია.

— დიდხანს ხომ ვერ იმუშავებს მწველავად მაიას შვილიშვილი.

— არა მგონია, ქალო, გოგოს საშუალო დამთავრებული აქვს, იმუშავებს ორი-სამი წელიწადი და წავა, სწავლას გააგრძელებს.

— ღმერთმა გზა გაუხსნას, ისწავლოს, თუკი შნო და უნარი აქვს.

— მაშ დღეიდან მაია გოგო მოსწველის მაია ქალის ძროხებს.

— თუკი ასეა, რაღად იგვიანებს?

— მარტო რას მოვა, ბრიგადირი მოიყვანს.

ძროხები ბაკში იწვნენ, ფშვინავდნენ, მწველავმა ქალებმა კასრებს წყალი გამოავლეს, საწველად მოემზადნენ.

— მოიცათ, მგონი, მოდიან.

გზაზე სამი ადამიანი გამოჩნდა, ის მწვანე მაზარიანი ბრიგადირი იყო, მეორე შავთავშალიანი სამოცდახუთი წლის მწველავი ქალი, ხოლო ის მტკიცე, გამართული, თანაბარი ნაბიჯებით რომ მოდიოდა და შორიდანვე მინდვრის ყვავილს მოგაგონებდათ, მაიას შვილიშვილი, მაია გოგო იყო.

შალვა ამირანაშვილი

მაყვალა მრევლიშვილი

მთის ყვავილები

* * *

მშვიდობიანი ცხენოსნებია,
მთის ყვავილებო, რა გაშრიალებთ!
აქვე ცეცხლაპირს შემოსხდებიან—
თავით ფეხამდე დაგაყრიალებთ...

ქვეშ გაეგებით. გაენაბებით,
მუხლებს უკოცნით, ვერ მიხვედრილან...
და გულგრილობის შავი ნაბდები
თავს წაგახურონ,—თქვენი ხვედრია.

რიჟრაჟს მიატანს ვაკკაცის ფშვინვა
თქვენზე გართხმული მთელი სხეულით.
მერე
მზის სხივი
დაცეცხლავს მყინვარს
და გასწევს ჟინი
მთებისეული.
... სულ ერთი ღამის იყო სიზმარი.
თან რომ წაიღებს ცხენთა ავშარა...
თქვენ კი
თვალსველნი ელით ცისმარე.
ცრემლი მზისგანაც ვეღარ ამშრალა!

* * *

საქართველოს მინდორ-ველზე
ყვავილები უთვლელია,
საალერსოდ მოკაზმულან,
დაფენილან უთენია!..
ზედაც არვის შეუხედავს,—
გამვლელს ფეხით უთელია.

წამომდგარან. საყვედურით
თვალი გაუყოლებიათ.
ან ჩივილი, ან მუდარა
არც კი გაუგონებიათ.
კაცი გზაზე მიმავალი
დანიშნული პგონებიათ...
წითელ-ყვითელ ყვავილებით
ჩვენში ბევრი გორებია!

* * *

ცხენოსანო,
მწარე არის
თოხარიკის ნალები.
აქეთობას ჩამიარე—
დავრჩი ნაიარევი.
იქითობას—კვლავ ფეხზე ვარ,
დაგიყენო თვალები.
ან ავლილი, ან ჩავლილი
ვერსად დამემალები.
გულისპირზე დაგებნიო—
სიყვარულის ნალევი.

* * *

ფეხთით თავმდაბლად შემოგფოფინეს!
გათელე,
გასწი!.. არაფერია.
მაგისთანები მრავლად ყოფილა—
ცასა და ველებს გადაჰფენია.
ცხენის ფლოქვებმა ძირით მოთხარეს?
რაღა ზედ გზაზე იბადებიან!
ვისი ბრალია,
ერთი მითხარი,—
ფეხქვეშ თვითონვე გივარდებიან...
შენს გზას მიხედე,
ადამიანო,
თავის მართლებაც გვიანდელია.
დარდი არა გაქვს?!—
არ დაინანო,
ფეხქვეშ
თვითონვე
გივარდებიან!

სილოვან ნარიმანიძე

ისევ ისეთი

იდგა მაღალი კავკასიონი.
თოვლის და ყინვის, ფიქრით მოსილი,
დიდგულოვანი, დარბაისელი,
გარინდებული და გულფიზიელი.
მზე ატყორცნილი დაჰმზერდა ველებს,
ჩაჩებილიყო ხევში ბერმუხა.
და სადღაც, სულ შორს, მოლურჯო კვამლი
ეფინებოდა ბუბრიდან ბუხ-რს.
ისევ მისდევდნენ დადაფნულ მთათა, უხმო ბაკურით
თეთრი ფარები,
იქ ყველაფერი ისევ ისეთი ვიგრძენ ჩემი და
შენი თვალებით.

მედეა კახიძე

საირმეში რა მინდოდა

საირმეში რა მინდოდა.
თუ სიცოცხლე არ მინდოდა,
რაღა ჩემზე მოინდომე,
თოფის კვრა და ნადირობა.
სახლში რად ვერ დავეტიე.
რად ვიქეცი ხეტიალად,
შემეყრება გუთნის დედა,
ამომგლეჯავს ბელტიანად.
წამაწყდება ღამის მეხრე,
გულს გადმიხნავს საყამიროს,
გადამაქცევს მიწას ხეშეს
სანერგედ და საყვავილოდ.
მერე, როგორც დახნულ ველებს
გულს გამიჩენს ნაჭდეურებს,
სახლის გზისკენ გამიყენებს
ვით კალოზე საძნე ურემს.
ნეტავ არსად გადაგყროდი
არც გვქონდა გასაყარი.
გულს მდებოდა ხავსის ობი
და სიჩუმე ნასაყდრალის
ნეტავ სადმე დაგკარგოდი,
გზა უჩემოდ გაგეწალდა.
საირმეში რა მინდოდა.
თუ სიცოცხლე არ მეწადა.

გაჭრეგული ქალაქი

ვისაც ძველი რომის იმპერიის ისტორია შეუსწავლია, უეჭველად, დააფიქრებდა თავის დროზე ერთ-ერთი ცნობილი და მდიდარი სავაჭრო ქალაქის—პომპეის ბედი. ოციათას მცხოვრებიანმა ქალაქმა სამ დღეში შესწყვიტა თავისი არსებობა, დაიფარა ვეზუვიდან ამოხეთქილი ქვიშით, ე. წ. ლაპილებით და სქელი ფერფლით.

ეს მოხდა 79 წელს ჩვენი წელთაღრიცხვისა. ამ საშინელი ტრაგედიის მომსწრე პლინი უმცროსი წერს ისტორიკოს ტაციტს: მოულოდნელად ვეზუვის თავზე გამოჩნდა უზარმაზარი ბოლქვები, რაც ნაძვის ხის—პინიოს ტოტებივით იყო გაშლილი. ვეზუვის ყელიდან ამოდიოდა ცეცხლის მაღალი ენები, გავარვარებული ქვები და ფერფლი ისე მრავლად, რომ დღეც ღამესავით იყო დაბნელებული. თითქოს დადგა განკითხვის დღე. იყო დაუსრულებელი ელვა-ჭექა, მიწის სიღრმიდან მოისმოდა გუგუნი, ნიადაგი ირყეოდა, ზღვამ ნაპირებიდან უკან დაიხია, დასტოვა რა ხმელეთზე მრავლად თევზები და ზღვის ცხოველები, ჰაერში გაფანტული იყო მახრჩობელა გაზები. ყოველი მხრიდან მოისმოდა ქალების კვნესა, ბავშვების კივილი, მამაკაცების ძახილი, ერთი ეძებდა მამას, მეორე შვილს ან, ცოლს.

ვეზუვის კალთებზე არსებული რომაული ქალაქები დაიფარა 8-10 მეტრის სიმაღლის ფერფლით. წვიმისაგან დასველებული ფერფლისაგან შეიქმნა შესქელებული ცომი, რაც გადაეფარა დაღუპული ადამიანებისა და ცხოველების გვამებს. შემდეგში ეს მასა გამაგრდა, გაქვავდა.

ვეზუვის მრისხანება რომ დასცხრა, მისი ფერფლით უკვე დაფარული იყო ქალაქები—პომპეი, ჰერკულანუმი, სტაბია, ოპლონტი, თავრიტანია და მრავალი სოფელი. შემდეგ სამარისებურმა მდუმარებამ დაისადგურა ირგვლივ.

დროთა განმავლობაში ხალხმა დაივიწყა ამ ქალაქების არსებობის ადგილები. ზოგიერთ დაღუპულ ქალაქის ადგილზე ახალი ქალაქებიც გაშენდა. ასე, ჰერკულანუმის ადგილას ახლა ქალაქი რეტინაა გაშენებული, ხოლო სტაბიას ადგილას—ქალაქი კასტელამარე დი სტაბია.

პომპეის მიდამოებში 16 საუკუნიდან ნახულობდნენ სხვადასხვა ნივთებს. 1689 წელს წყლის მილების მიწაში ჩასაწყობად წარმოებული გათხრების დროს შემთხვევით წააწყდნენ რაღაც ნანგრევებს და ქვას წარწერით—„პომპეი“. ეგონათ, რომ ეს წარწერა შეეხებოდა მხედართმთავარს პომპეუსს. მეთვრამეტე საუკუნეში ნაპოვნი ნივთებით და წარწერებით დარწმუნდნენ, რომ ამ მიდამოებში იყო გაშენებული ქალაქი პომპეი და ეს ნაშთებიც იქედან იყო.

პომპეიში სისტემატური ძიებები და გათხრები დაიწყო 1748 წელს. დღეისათვის პომპეის თითქმის ნახევარია გათხრილი და გაწმენდილი. ახლაც გრძელდება გათხრები. ჩვენი აქ ყოფნისას ქალაქის დასავლეთ ნაწილში გათხრების პროცესში თანდათან ჩდებოდა დიდი შენობის ზედა სართული.

თბომავალ „გამარჯვებით“ ნეაპოლში ჩამოსული საბჭოთა ტურისტები იტალიის სხვა ისტორიულ ადგილებთან ერთად დიდის ინტერესით მოველოდით პომპეის დათვალიერებას. ნეაპოლიდან პომპეამდე 22 კილომეტრია. მგზავრობისას ვხედავთ ვეზუვის კალთებსა და ძირებზე განლაგებულ სოფლებსა და ქალაქებს. სახლებს მეტწილად ბრტყელი სახურავები აქვთ. მასალად ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია გაქვავებული ლავა. მცხოვრებლები ეწევიან მებაღეობასა და მევენახეობას. ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერია. ვეზუვისაგან ამოხეთქილ სასუქებზე საუცხოო მოსავალი მოდის, წლის განმავლობაში ბოსტნეულის 3-4 მოსავალი მოჰყავთ. განთქმულია ამ მიდამოების ვენახისა და ხეხილის ბაღები. მიწის დამუშავებულ ზოლებში აქა-იქ გაშლილია შავი ნაკადი გაცივებული ლავისა.

ჩვენ უკვე პომპეიში მივედით. იგი ზღვის ნაპირას მდებარე დიდი ქალაქი ყოფილა, დაუარსებიათ მეექვსე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე და, მტკიცე გეგმის მიხედვით იყო ნაშენი. ქალაქს ხუთი კარი ჰქონებია: სტაბიის, სარნოს, ნოლის, ვეზუვის და ჰერკულანუმის. მთელ ქალაქზე გადიოდა ორი მთავარი ფართო პროსპექტი და მრავალი მცირე ქუჩა. ყოველი ქუჩა ქვაფენილით იყო მოფენილი. ფეხით სასიარულო ადგილები ადამიანებისათვის უფრო ამაღლებული ყოფილა. ყოველ ქუჩაზე გამართულია შადრევანი მთებიდან მომდინარე წყლებით. გათხრების შედეგად პომპეიში აღმოჩენილი იქნა საცხოვრებელი შენობები, თეატრები, სასახლეები, ბაღები, სპორტული მოედნები; მნახველის ყურადღებას იქცევს ხელოსნების ქუჩები, სავაჭრო უბნები, პურის საცხობები. საცხოვრებელი სახლები უმთავრესად ორსართულიანია, გრანდიოზულია ბაზილიკა ანუ სასამართლოს შენობა; პომპეიში მრავლად ყოფილა ტაძრები და მათ საგანგებო სახელებიც ჰქონებიათ მიკუთვნებული. აღმოჩენილია იუპიტერის, ვენერას, მერკურის ანუ კვირინას, იზიდას, იუნონას, ნეპტუნის, ავგუსტუსის ტაძრები. ზოგი მათგანი ნამდვილი ხელოვნების ძეგლის შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი სიდიდით და მოკაზმულობით.

უზარმაზარი ნაგებობაა—ფორუმი, რომლის სიგრძეც 152 მეტრია, ხოლო სიგანე—48 მეტრი. მისი გათხრისას უნახავთ ადამიანის 63 გვამი.

პომპეიში არსებულა დიდი ანუ ტრაგიკული თეატრი. მას აგრეთვე ნეაპოლის თეატრს უწოდებენ, რადგან ამ თეატრში გამოდიოდა თურმე ნეროსი. ჩვენ ვნახეთ ამ თეატრში ნეროსის ლოჟაც. ეს თეატრი ოვალური ფორმისაა და მაყურებელთა საჯდომი რიგები თანდათან ამაღლებულია. ზევიდან თეატრი ღიაა; მეორე თეატრს—მცირე კომიკური თეატრი ანუ ოდეონი ეწოდებოდა. მაყურებლები იძენდნენ ძვლის ბილეთებს და ადგილებს იკავებდნენ წოდებრივი წარმოშობის, მდგომარეობისა და ჰასაკის მიხედვით. დიდი ანუ ტრაგიკული თეატრი იტევდა ხუთი ათას მაყურებელს, ხოლო მცირე კომიკური თეატრი—ათას ხუთას მაყურებელს.

პომპეიში დიდად ყოფილა გავრცელებული საზოგადო შენობებისა და საცხოვრებელი სახლების მორთვა ქანდაკებებით და ფრესკებით, რომელთაგან ბევრი დღესაც კარგადაა შემონახული. ფრესკები გამოხატავენ მითიური ღმერთების, ადამიანებისა და ცხოველების ფიგურებს. ვხედებით მათ შორის ფრიგოლურ ფრესკებსაც; გავეცანით ორნამენტებისა და საიუველირო ხელოვნების ნიმუშებსაც.

პომპეიში ბევრი ყოფილა სახალხო აბანოები, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ თერმები. აბანოები მრავალი ოთახისაგან შესდგებოდა. მასში არის მოსაცდელი, გასახდელი, ტანსაცმლის შესანახი, დასასვენებელი, ცალცალკე, ცივი, გრილი და ცხელი აბაზანების მისაღები ოთახები. ყოველ საბაზანოს წყლის მიწოდების თავისებური სისტემა აქვს. თერმები ძველად ეს იგივე თავისებური კლუბი იყო. ისინი ლამაზად, მდიდრულად იყო მორთული. საუკეთესო ანტიური ძეგლები—სტატუები აპოლონ ბელვედერელისა, ჰერკულეს ფარნეზელისა, ლაოკოონის ჯგუფი—თერმებში იქნა აღმოჩენილი. თერმებში კითხულობდნენ პოეტები თავიანთ ლექსებს, მხატვრები ხატავდნენ ლამაზი ქალების პორტრეტებს.

გადავდივართ პომპეის მუზეუმის გასაცნობად. მუზეუმი პატარაა და მასში მხოლოდ გათხრების დროს პომპეიში ნახული მასალებია დაცული. მუზეუმის ერთ კუთხეში თვალი მოვკარით შუშაში ჩასმულ ადამიანისმაგვარ ფორმას. შორიდან ეს ქანდაკება გვეგონა და მივუახლოვდით, ნამდვილად კი აღმოჩნდა გაქვავებული ადამიანი, დიახ, ნამდვილი ადამიანი. ვულკანის ამოხეთქისას პომპეის მცხოვრებთაგან ვინც ვერ მოასწრო გაქცევა, დაიღუპნენ მხრჩოლავი გაზებისაგან და შემდეგ მათი სხეული ფერფლმა დაფარა. გაცივებისას ფერფლი გაქვავდა და მიიღო ფორმა იმისა, ვინც დაფარა, სულერთია, ეს იყო ადამიანი თუ ცხოველი. თვითონ სხეული დაიფერფლა და დარჩა კალაპოტი. გაქვავებულ ადამიანთა გარეგნობა გამოხატავს საშინელების განცდას. სასოწარკვეთილებას, კონვულსიას. ჩვენს მიერ ნახული ადამიანის ფორმა მონა—ქალისაა, რომელიც პირით ძირს დამხობილიყო და თავზე ხელები შემოეწყო. წელზე მას თოკის ქამარი ერტყა. სწორედ ეს იყო ნიშანი იმისა, რომ იგი მონა ქალი ყოფილა. როგორც ჩანს პატრონს მისთვის ნება არ მიუცია გაქცევით ეშველა თავისთავისათვის. მას ასე დამხობილს დიდ ტანჯვაში დაუმთავრებია თავისი სიცოცხლე; აგერ კიდევ კისერგადაგდებული ადამიანი, კბილები მოუჩანს, ხელები დაკრუნჩხული აქვს, იბრძვის სიცოცხლისათვის; მეორე კუთხეში ვხედავთ თოკით მიბმულ ძაღლს, მასაც უგრძვნია მოახლოებული უბედურება და მთელის ძალით ცდილა თოკისაგან განთავისუფლებას, ენა გადმოგდებული აქვს, თვალები გადმოკარკლული, სხეული მოკრუნჩხული; მუზეუმში ვნახეთ გაქვავებული კვერცხი ქათმისა და პურეულის მარცვლები. შთაბეჭდილება მძიმეა. ჩვენთვის ყოველივე ეს სამუზეუმო ხილვაა, მაგრამ ნამდვილად ის გამოხატავს დაღუპული ადამიანების დიდ ტრაგედიას.

გამოჩენილმა იტალიელმა პოეტმა პეტრარკამ ვეზუვის უწოდა „საშინელი მთა—განმანადგურებელი“. მართლაც ვეზუვი არის დიდი კატასტროფების ადგილი, რომელსაც განუწყვეტლივ შიშის ქვეშ ჰყავს ახლომახლო ყველა. ვეზუვი სულ მოძრაობაშია, მისი ყელიდან ახლაც ამოდის კვამლი და ორთქლი, ხოლო დროდადრო ღამით ანათებენ ვულკანური წიდას ნაპრები. 1638-1661 წლებში ამოხეთქილმა ვულკანმა ახლომახლო ათი ათასი ადამიანი შეიწირა; 1794 წელს ვულკანმა მთლიანად დაანგრია ქალაქი ტორე-დელა-გრეკო, 1872 წელს—ქალაქი სან-სებარტიანი; 1906 წელს დაიღუპა ქალაქები—ბოსკო-ტრეკაზო, სარნო და სან-ჯერანო. ამ წელს ნეაპოლამდეც მიაღწია მისმა ფერფლმა და ქვიშამ და რამდენიმე შენობა დაანგრია.

ვამთავრებთ გაქვავებული ქალაქის დათვალიერებას და გამოვდივართ ახალ კეთილმოწყობილ მოედანზე თანამედროვე დიდი მაღაზიებით და სასტუმროებით, აქ ფართო ვაჭრობაა გამართული. ტურისტებს აწოდებენ სხვადასხვანაირ ბრჭყვიალა ბილოფის ქუდებს, ბეჭდებს, ყელსაბამებს, სამაჯურებს.

ავტობუსებით განვაგრძობთ გზას სორენტოსაკენ. პომპეისაგან მიღებულ მძიმე შთაბეჭდილებას აქარწყლებს სორენტოს ბუნების სიმშვენიერე და ახალ-ახალი თვალწარმტაცი შთაბეჭდილებები.

ზალვა რადიანი

ვაჟა-ფშაველას თხოვნა

„არც ერთი ქვეყანა ისე მდიდარი არ არის მადნეულობით, როგორც ჩვენი“, წერდა აკაკი. მართლაც, იშვიათია ისეთი მინერალი, საქართველოს მდიდარ წიაღისეულში რომ არ იყოს დაუნჯებული.

მრავალ გადამთიელს იზიდავდა საქართველოს ოქროს საბადოები. მათ მგლურ მადას წინ აეღობნენ მოწინავე ქართველი მოღვაწენი, რომელნიც მიისწრაფოდნენ ქვეყნის სიმდიდრე ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ. ამ ბრძოლამ დიდხანს გასტანა.

ოქროს ეძებდნენ საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში. თიანეთისა და დუშეთის მაზრებს მუშებისა და ინჟინერების ჯგუფები მოეფინა. ზოგი თავიანთ ნაკვეთის საზღვრებზე სამიჯნო ნიშნებს დგამდა, ზოგი ოქროს შემცავ ხილებს აგროვებდა უკვე.

1901 წლის ორიოდე თვის განმავლობაში, მარტო ამიერკავკასიის ქალაქებსა და დაბებიდან სამთო სამმართველოში ასზე მეტი განცხადება შესულა.

ოქროს საბადოთა დამუშავებაში ზოგიერთი მოწინავე ქართველი მოღვაწეც ჩაბმულა, კერძოდ—აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა.

აკაკი თიანეთის საბადოებით დაინტერესებულა. თიანეთში ექიმად მომუშავე ალ. დიასამიძის ცნობით, აკაკის გეოლოგ სპირიდონ სიმანოვიჩთან ერთად მიწის ნაკვეთი აუღია თიანეთის მაზრაში და იქ აპირებდა სარეწავოს გამართვას. ანა მიხეილის ასულმა დიასამიძემ ამასთან დაკავშირებით შემდეგი გვაცნობა: „**1901** წლის შემოდგომის მიწურულში, სრულიად მოულოდნელად თიანეთში ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი გვეწვია. მას თან ახლდნენ გეოლოგი სიმანოვიჩი და უკანასკნელის მეუღლის ნათესავი ბაგრატიონ-მუხრანსკი (ბურების კომპანიაში მონაწილე ბაგრატიონ-მუხრანსკის ძმა). მეორე დღეს ყველა ისინი, აგრეთვე, ალ. დიასამიძე და თიანეთის მაზრის უ. უფროი ნ. ზ. ჩოლოყაშვილი ცხენებით ერწოს მიმართულებით ივრის სათავისაკენ წავიდნენ. აკაკის თავისი ნაკვეთის საზღვრებზე რამდენიმე ორმო ამოუთხრევინებია, ბარათებზე დაუწერია, რომ ნაკვეთი მას ეკუთვნის, ბარათებზე ყველასათვის ხელი მოუწერინებია, ბოთლებში ჩაუგდია და ორმოებში ასე ჩაუმარხია... აკაკი ჩვენთან რამდენიმე დღეს დარჩა. ქალებს ხშირად ღიმილით გვეტყოდა: „თიანეთელებს რაღა გიჭირთ, ახლა ოქროც ბლომად გექნებათო“.

აკაკი წერეთელი, როგორც ჭიათურის მანგანუმისა და სხვა მადნების, ისე თიანეთის ოქროს საბადოების დამუშავებას საზოგადოებისათვის სასარგებლო ღონისძიების თვალსაზრისით უყურებდა.

უეჭველია, ამავე მიზანს ისახავდა ვაჟა-ფშაველა, როდესაც მან **1901** წელს სამთო სამმართველოს საგანგებო თხოვნით მიმართა ოქროს ძებნის ნებართვის მისაღებად.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ვაჟა-ფშაველა თხოვნის დაწერის პერიოდში მეტად მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი გაგზავნილ თხოვნაში წერდა: „სახრჩობელასავით მეხატება ჩემი ნივთიერი უმწეო მდგომარეობაო“. მიუხედავად ამისა, ვაჟას ასეთ მძიმე პირობებშიც არ ავიწყდებოდა თავისი მოვალეობა—ხალხისადმი უანგარო სამსახური. სწორედ ამ პერიოდში დაბეჭდილ ერთ-ერთ ფელეტონში ის წერდა: „ნუთუ ეს გაგიკვირდებათ, რომ „კაი კაცი“ და „კაი-საქმე“ გამხდომოდეს ყოველდღიური ფიქრად, რადგან ჩვენი ერის და ქვეყნის ფიქრი... მეც, როგორც ერთს, მრავალთა შორის, ასევე მეფიქრება და მენატრება“. მეორე ფელეტონში ის როტშილდის მილიონებს ნატრულობს, მაგრამ არა საკუთარი კეთილდღეობისათვის, არამედ ისევ ხალხის სასარგებლო საქმეში გამოსაყენებლად.

სწორედ ამ მიზწრაფებამ დაწერინა ვაჟას მის ბიოგრაფიაში ახალი ფურცლის გადამშლელი, დღემდე უცნობი თხოვნა, რომლის ტექსტის რეპროდუქცია ქვემოთ მოგვყავს.
(იხ. ცსსა, ფონ. 264. საქ. 3175, ფურ. 219).

აქვე დართულია ტექსტში მოხსენებული მოწმობაც, რომელიც ნოტარიულად შემოწმებულია ცნობილი ქართველი მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის მიერ (ფ. 220).

როგორც თხოვნაზე მოხელის მიერ წარწერიდან ჩანს, ვაჟასათვის ნებართვა 22 დეკემბერს მიუციათ, მაგრამ ჯერჯერობით გამოურკვეველია, დაიწყო თუ არა მან საბადოს დამუშავება და სად.



საბადოს დამუშავება მოითხოვდა ფულად სახსრებს, ხოლო ამის საშუალება ვაჟას არ ჰქონდა. ამიტომ ვფიქრობთ, უსახსრობის გამო, ამ მიმართულებით წარმოებას ვერ მიაღწია და თავი მიანება, ისე, როგორც ბევრმა სხვამ.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ერთი დეტალიც: ზემოაღნიშნული თხოვნის დაწერიდან 6 დღის, ხოლო ნებართვის მიღებიდან ორი დღის შემდეგ ვაჟას თხოვნით მიუმართავს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისათვის სესხად **50** მანეთის მიცემის შესახებ, იმ პირობით, რომ ვალს დაფარავდა მომავალი ჰონორარის მიღებისას. გამგეობამ რამდენიმე ხნის შემდეგ დააკმაყოფილა მისი თხოვნა.

ცხადია, ასეთი უმნიშვნელო თანხა, იმდროინდელი სიძვირის გამო, არა თუ სარეწავის გამართვას ვერ უზრუნველყოფდა, არამედ კვების ხარჯსაც ვერ დაფარავდა.

ამიტომ ცხრა თვის შემდეგ ვაჟა გამგეობას განცხადებას უგზავნის და აცნობებს: „ისედაც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი, უარეს გაჭირვებაში ვვარდებიო“, და სთხოვს დააჩქარონ მისი ნაწერების ცალკე წიგნებად გამოცემა, მაგრამ ამაოდ. გამგეობა, რომელსაც მაშინ ნ. ცხვედაძე ხელმძღვანელობდა, როგორც თავმჯდომარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვაჟას წიგნების გამოცემას დიდი ხნის მანძილზე ვერ ახერხებს და მგოსანი კვლავ ფულად ხელმოკლეობას განიცდიდა.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველას არ შეეძლო თავისი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. ეჭვი არაა, სხვა პირობებში, ვაჟა ამ წამოწყებასაც ისეთივე წარმატებებით დააგვირგვინებდა, როგორც შირაქის ველზე გლეხთა დასახლებას.

ალ. კოჭლავაშვილი

ჭედურობის ოსტატი

მარკლენ ქუთათელაძემ ამ თორმეტი წლის წინათ დაამთავრა მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის ჭედურობა-გრავირების განყოფილება, მერე რამდენიმე წელიწადს ცნობილი ოსტატის გიორგი ხანდამაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

ახალგაზრდა ოსტატის ნამუშევარმა — სევადითა და ამოკვეთით, ჭედურობითა და მინანქრით დამშვენებულმა ნივთებმა — მიიქციეს ყურადღება. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ის, რომ ოსტატი ცდილობს ძველი ქართული ორნამენტის აღდგენას და გულდასმით სწავლობს ძველ ქართველ ოსტატთა გამოცდილებას.

მარკლენ ქუთათელაძის მიერ დამზადებულმა ყანწებმა და სამაჯურებმა დიდი პოპულარობა მოიპოვეს როგორც სუვენირებმა, რომელიც მიაქვთ თბილისის სტუმრებს საქართველოს დედაქალაქის სახსოვრად.





ზაურბეკის ქოხი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზური ლეგენდა

ნიკოლოზ მიქაია

მხატ. ე. ძურადიანი

ვისაც ღალიძგის თვალწარმტაცი ხეობა უნახავს, ის აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას ფრიალო კლდის წვერზე შეფარებულ ქოხს. ამ ქოხისათვის ხალხს სიყვარულის ქოხი შეურქმევია და დიდი ხნის წინათ ლეგენდაც შეუთხზავს.

ძველისძველ დროში ოქროს დახარბებული მრისხანე თავადები თავიანთი ყმა-გლეხებით ვაჭრობდნენ და თურქეთის ხომალდებს ასობით მიჰყავდათ მხარგაკრული აფხაზი ჭაბუკები და ქალიშვილები.

თავიანთი ვაჟკაცობით სწორედ იმხანად ისახელეს თავი ყმაწვილმა გმირებმა, მშვენიერი აფხაზეთის ორი მთის მდინარის ღალიძგისა და ბზიფის შვილებმა, ზაურბეკმა და სოულახმა. მათ არ მოისურვეს მონობა და ტყეს მისცეს თავი. იქიდან მოულოდნელად ესხმოდნენ თავს უცხოელთა ქარავნებს და თავისუფლებას უბრუნებდნენ თავიანთ დებსა და ძმებს.

მადლიერმა ხალ[illegible]ამღერები გამოთქვა მათ საგმირო საქმეებზე, აფხაზეთის თვალმაყვალა ასულები კი ჩონგურზე ამღერებდნენ ამ სიმღერებს. საერთო მტერს ებრძოდნენ ჭაბუკები, მაგრამ ერთმანეთი თვალითაც არ ენახათ.

ერთხელ, როდესაც ზაურბეკი ცაცხვის ჩრდილში იჯდა და თავის კაჟიან თოფს წმენდდა, ბექობს ვიღაც უცნობმა მხედარმა მოაგდო გაქაფული ცხენი, სოულახის კაცი აღმოჩნდა. მიშველებას ითხოვდა სოულახი.

ზაურბეკი ყორნისფერ ულაყს მოახტა და ერთგულ კაცებთან ერთად მიაშურა ბზიფის ხეობას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეტაკებოდნენ ერთმანეთს ერთი მუჭა აფხაზი ვაჟკაცები და დაქირავებული თურქი ჯარისკაცების დიდი ჯგუფი. თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მტერს მუსრი გაავლეს აფხაზებმა.

— ძმაო სოულახ,—შესძახა ზაურბეკმა, — რამდენჯერ მინდოდა შენი ნახვა.

— მეც ამას ვოცნებობდი, მამაცთა უმამაცესო!

ჭაბუკები ერთმანეთს გადაეხვივნენ. მართლაც რომ შესაფერისნი იყვნენ. თითქოს ორი მთვარე შეხვედროდა ერთმანეთს ამ წყნარ, ზღაპრულ ღამეში.

სოულახის ნათესავებსა და თანასოფლელებს შორის ზაურბეკმა საოცარი სილამაზის ასული შენიშნა, რომელიც განმარტოებით იდგა. ამ წუთიდან დაჰკარგა სულის მშვიდობა ზაურბეკმა, ამ ქალის გარდა მისთვის აღარავინ არსებობდა ქვეყანაზე.

— ზაურბეკ, — უთხრა სოულახმა, — ჩვენი მეგობრობის ნიშნად, ამოირჩიე, რომელი ჩერქეზული ცხენიც მოგეწონება.

— არა, სოულახ, მე ვერ მივიღებ მაგ საჩუქარს, მე შენი მეგობრობა მწადია.

სოულახის მოხუცმა დედამ საკინძე შეიხსნა და ძველი ადათისამებრ ძუძუ ამოიღო. ზაურბეკი ეამბორა მას და ამიერიდან სოულახს ეძმო.

კვლავ გადაკოცნეს ერთმანეთი ჭაბუკებმა, სუფრაც გაიშალა. იმ წუთიდან, რაც საოცარი სილამაზის ასული დაინახა, მოუსვენრობა და ნაღველი ჩასახლდა ზაურბეკის თვალებში.

სოულახს არაფერი გამოჰპარვია.

— ზაურბეკ, რა მოგივიდა, — ჰკითხა მან,—დღეს ჩემი სტუმარი ხარ. მოსვენებას არ მაძლევს შენს სახეზე გამოხატული მწუხარება.

— არაფერია... — მიუგო ზაურბეკმა.

— გულს მომიკლავ, თუ არ გამიმხილე, რა მოგივიდა.

— ძვირფასო ძმაო... კარგი, ვიტყვი. ერთმა მზეთუნახავმა დაატყვევა ჩემი გული. უმისოდ ცხოვრება აღარ შემიძლია.

და ზაურბეკმა თვალით ანიშნა ქალიშვილზე.

სოულახი გაფითრდა.

დასრულდა ლხინი. თავის კაცებთან ერთად ზაურბეკი შინ დაბრუნდა.

ერთი კვირის შემდეგ კი სოულახი ეწვია ძმადნაფიცს. თან ის მზეთუნახავი ახლდა ძმებითურთ.

— მე ჩემი ვალი მოვიხადე, ძვირფასო ძმაო, — თქვა სოულახმა, ქალიშვილი მიჰგვარა ზაურბეკს, ერთხელ კიდევ მიაპყრო მას ნაღვლიანი თვალები, ცხენს მოახტა და ბზიფის ხეობას მიაშურა.

სანაქებო სეფა გაიშალა. ქორწილის ღამეს სანთიობოში შევიდა ზაურბეკი, საცოლეს მიუახლოვდა და ჩვეულების თანახმად, ნეკის ფრჩხილით გადახაზა მისი მკერდსაკრავი, რათა მერე ხანჯლის წვერით გაეჭრა იგი, უცებ ოხვრა აღმოხდა ქალს გულიდან.

— რა მოგივიდა, ჩემო სიცოცხლეე!—ხელი აუთრთოლდა ზაურბეკს.

ასული სდუმდა.

— მითხარი, იქნებ ძალით წამოგიყვანეს. მე მზად ვარ ყოველი შენი სურვილის შესასრულებლად.

მაგრამ პასუხს ვერ ეღირსა ზაურბეკი. გარეთ გამოვარდა. მთელი ღამე ტყე-ტყე იხეტიალა, დილით ისევ შევიდა სანთიობოში.

— რაღაცას მიმალავ, მითხარი, რა გაწუხებს?!

ცრემლად დაღვრილი მზეთუნახავი ხმას არ იღებდა.

ზაურბეკმა ხანჯალი იშიშვლა.

— სიმართლე მითხარი, თუ არა და...

— მე სიკვდილის არ მეშინია, ჩემო მეგობარო, არც ძალით მოვუყვანივარ ვისმე. მე მარტო ის მინდოდა, რომ სოულახს თავისი ვალი მოეხადა ძმადნაფიცის წინაშე...

— გული რამ გატკინა?

— გული? — ნამტირალევი თვალები ასწია ასულმა,—მე და სოულახს ერთმანეთი გვიყვარს. აკვანშივე დანიშნული ვიყავით...

საქორწილო დღეობა ჭერს აზანზარებდა. მოქეიფენი მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ქებას ასხამდნენ შეუღლებულთ. მარტოოდენ ზაურბეკს ეფლითებოდა გული. „ო, სოულახ, ვინ იცის, რა ცეცხლი გეკიდება, როცა სულისსწორი მე მომიყვანე... არა, ეს შეუძლებელია“. — ფიქრობდა იგი. ბოლოს ხელი ჩაჰკიდა ქალიშვილს და უთხრა:

— ამიერიდან შენ და იქნები და მე—ძმა, ძვირფასო!

თქვა თუ არა ეს, ზაურბეკმა კაცი აფრინა სოულახთან.

როგორც კი სოულახი მოვიდა, ძმადნაფიცებმა სტუმრებს მიაშურეს.

— მეგობრებო,—თქვა ზაურბეკმა,—მაპატიეთ, რომ შეცდომა მომივიდა: მე კი არ ვირთავ ცოლს, დას ვათხოვებ, მამაც სოულახს ვატან...

— სიყვარულისთვის თავის დასჯა! — ჩაილაპარაკა სოულახმა.

— მე ასე მსურს, ძვირფასო ძმაო! – თქვა ზაურბეკმა და თავისი ყოფილი საპატარძლო გამოიყვანა სანთიობოდან.

შედრკა სოულახი.

— აი, შენი საცოლე. მერწმუნე, ისეთსავე უბიწოს გიბრუნებ, როგორიც მომიყვანე,— ხანჯალმა გაიელვა ზაურბეკის ხელში. მან სუფრის კიდეზე ჩამოსდო ის ნეკი, რომლის ფრჩხილითაც ქალის მკერდსაკრავი გადახაზა და... ხანჯლის ერთი მოქნევით მოიკვეთა.

კიდევ დიდხანს ეხმარებოდა ზაურბეკი თავის მშობელ ხალხს სიმამაცითა და ვაჟკაცობით, მაგრამ როცა ღონემ უმტყუნა, კლდეში ქოხი გამოჭკვეთა და იქ დალია თავისი დღენი.

... ასე შეეძლოთ მეგობრობა და სიყვარული ჩვენი მთების მამაც ჭაბუკებს, ვისაც კი სურს დარწმუნდეს ამაში, ჩამოვიდეს ჩვენთან და ზაურბეკის წმინდა ქოხი მოინახულოს.

ფასდაუდებელი ზეიმი

დიდი ხანი არ არის, რაც მხატვარი ნინო ანთაძე მოვიდა საქართველოს განათლების სამინისტროს სათამაშოთა მუზეუმში, რომელიც მოთავსებულია პიონერთა სასახლის ორ პატარა ოთახში. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, ამზადებდა სადისერტაციო შრომას უძველესი რუსული ენის თემაზე. ხოლო მთელ თავისუფალ დროს ანდომებდა თავის საყვარელ საქმიანობას: ხატავდა. განსაკუთრებით ეხერხებოდა ფანქრით შესრულებული პორტრეტები და გრაფიკული მინიატიურები. ახლო ნაცნობებს და მეგობრებს საჩუქრად უკეთებდა თავის მომხიბლავ სამშვენისებს და ოცნებობდა, ფარული ტკივილით ოცნებობდა ჭეშმარიტ, დიდ ხელოვნებაზე, პროფესიულ მეცადინეობაზე, სამხატვრო აკადემიაზე, მაგრამ გადიოდა წლები, ცხოვრებას კი სხვა გზით მიჰყავდა... იმ დრომდე, სანამ ის „აღმოაჩინა" ამ მუზეუმის დამაარსებელმა და დირექტორმა თინათინ ილიას ასულ თუმანიშვილმა. „აღმოაჩინა" და „დაეუფლა" მას.

ორი პატარა ვიტრინა სავსეა მომაჯადოებელი ზღაპრული ნაკეთობებით. ყველა ისინი თითქმის ზღაპრულ სიუჟეტებზეა აგებული.

გამხმარი მცენარეებისაგან გაკეთებული სათამაშოები! ეს სრულებით ა[illegible] ახალი აღმოჩენა. ჯერ კიდევ შესანიშნავ ძველ საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში" ხშირად იყო მოთავსებული რჩევა-დარიგება, თუ როგორ უნდა გაკეთდეს შობის ხის სამკაული სხვადასხვა მცენარეებისაგან.

ნინო ანთაძის შემოქმედებაში იგრძნობა დაუშრეტელი გამოგონება მცენარეთა ელემენტების მოხერხებულად გამოყენებაში, კოლორიტის მძაფრი შეგრძნება ფერში, ფერჩევაში, შესრულების დახვეწილი ტექნიკა. მასალად იგი იყენებს მხოლოდ და მხოლოდ მცენარეთა მასალას.

მისი ტყის კაცუნები, ცხოველები, მწერები „ცოცხლები" ერევ[illegible] ლებენ, სრულიადაც არა „ნამდვილნი", მაგრამ უაღრესად დამაჯერებელნი თავის „მსგავსებაში".

მხატვარი ბუნების ზუსტი წაბაძვის გზით კი არ მიდის: „ბუნება ისედაც მშვენიერია, რა საჭიროა მისი გამეორება, — ამბობს იგი,—უნდა შევქმნათ სხვა ეშვენიერება ბუნების დამახასიათებელ ელემენტებისაგან".

აი, მაგალითად მისი ერთ-ერთი ადრეული ნაშრომი „ტყის მოხუცები"—ქალი და კაცი. ტანი—გირჩის, თავი—კაკლის, ხელ-ფეხი—ჩხირები, ტანსაცმელი—ხავსისა ან ფოთლის, რა სახის გამომეტყველება, რა ხასიათია ყოველ მათგანში! მოხუცი კაცი ნაოჭებიანი, მოცინარე სახით და ეშმაკური გამოხედვით, ქალი კი ნამდვილი „გულკეთილი ბებია".

არაჩვეულებრივი ეტიუდია „მოხუცი მუსიკოსი". ძალიან მოხუცებულია, მთლიანად ხავსითაა დაფარული, ალბათ, მას ყურთა სმენაც აკლია, მაგრამ მაინც ცდილობს კვლავ ააღლეროს თავისი ვიოლინო და თვითონ ტკბება საკუთარი მუსიკით.

საბავშვო შინაარსის ციკლი: „პირველი შეხვედრა", „დათვი და ფუტკრები", „ეკალა-გოგონა", „კუდიანი დედაბერი" და მისი „აბეზარა შვილიშვილი", „წითელქუდა" და სხვა. ცალკე უნდა აღინიშნოს შექსპირის კომედიის—„სიზმარი ზაფხულის ღამეში"—სცენა: შეყვარებული ტიტანია და ვირისთავა ფუძე.

უკანასკნელი პერიოდი ნინო ანთაძის მუშაობისა საგულისხმოა ახალი განხრით: ეს არის ქართული ეროვნული სტილის ძიება. აქ იგი იყენებს კიდევ უფრო მსუბუქ, ჰაეროვანი ფაქტურის მასალას—ყვავილის ფურცლებს.

აი კომპოზიცია „სიმღერა": ორი ქალის ფიგურა ქართულ ტანსაცმელში, ერთი მღერის, მეორე მის ფეხთით, ჩონგურზე აკომპანიმენტს აძლევს. ორივე შინაგანი სიცოცხლითა და მოძრაობითაა სავსე. მთლიანად ნაწარმოებში დაცულია ზუსტი ეროვნული ელფერი. ასეთივეა მეორე ნამუშევარი „ქართული". შესანიშნავად არის გადმოცემული ქართული ცეკვის დამახასიათებელი მოძრაობა.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის ეტიუდები ქართული ზღაპრების შინაარსის მიხედვით: „მზის ქალიშვილი", „მეგადურის შვილი", „ზღაპარი მინდორ-ქალისა" და სხვა.

მხატვარს იზიდავს ქართული ეროვნული სტილის შექმნის ამოცანა „მინდა შევისწავლო უძველესი ქართული მინიატიურა, ვოცნებობ შოთას უკვდავი პოემის სახეების განსახიერებაზე", ამბობს იგი.

მან მომზადა ნაშრომი—მეთოდური სახელმძღვანელო: „მცენარეთა სათამაშოები", რომლის მიზანია „არა მარტო შევასწავლოთ ბავშვებს დამოუკიდებელი შრომა, არამედ კიდევაც განვუვითაროთ მათ მხატვრული ალღო, ესთეტიკური გემოვნება, ვინაიდან მათ ექნებათ საქმე ბუნებასთან, სადაც ყოველივე თავისთავად მშვენიერია".

როგორც განვლილ წლებში, ისე ახლაც ნინო ანთაძე ოცნებობს დიდ ხელოვნებაზე, მას აღარ აკმაყოფილებს ის, რასაც აკეთებს, მას იზიდავს ხუროთმოძღვრება: „თითები მოითხოვენ უფრო საგრძნობ, მძლავრ მასალას. მე მუდამ მიტაცებდა ადამიანის შინაგანი სამყარო. მე მგონია, ამაში შევძლებ ვიყო უფრო სრულყოფილი", ამბობს ნინო.

ვუსურვოთ ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს, მალე აუსრულდეს სანუკვარი ოცნება!

თამარ ფულუკიძე

საქ. სსრ დამსახურებული მსახიობი

საღავო თარიღი

1729 წლის „მოსკოვის უწყების" (ვედომოსტის) თანახმად გურამიშვილი (გურამოვი) ჩასულა მოსკოვში ცოლით, ასულით, სიდედრით და მსახურით 1729 წელს და ამავე წლიდან დაუნიშნავთ მისთვის ულუფა 40 მანეთი წელიწადშიო. ამ ცნობის მიხედვით ზოგიერთ მკვლევარს მგონია, რომ აქ მოხსენებული გურამოვი ჩვენი მგოსანი დავით გურამიშვილია.

ეს ცნობა მიუღებლად მიგვაჩნია სამი მოსაზრებით.

პირველი მოსაზრება:

დ. გურამიშვილი წერს „დავითიანში" მოსკოვში ჩასვლის შესახებ იქ მყოფ მეფე ვახტანგ VI-თან:

„ექვსი წლის წინად ჩემს უწინ ქართლიდან წაბრძანებული,
რა მიველ მოსკოვს, ვიხილე მეფე და ქართველთ კრებულნი.
რომლისა ხელმწიფისაგან მუნ იყვნენ დაბარებულნი,
იმისთვის ვეღარ მიესწროთ, მით იყვნენ გამწარებულნი.
დიდსა პეტრეს და ორ სხვასა მოწლოდათ წუთისოფელი,
წართმოდათ მოკლედ სამყოფი, ეშოვნათ გრძლად სამყოფელი.
... ამაზედ იყო (ვახტანგ მეფე) მგლოვარე, ცრემლი ამისთვის ზდიოდა,
სამი ხელმწიფე ზედიზედ მოკვდენო, გულსა სტკიოდა"...

ამ ლექსში მოყვანილი ცნობების მიხედვით, შესაძლოა, ზუსტად იქნეს დადგენილი გურამიშვილის მოსკოვში ჩასვლის წელიწადი.

„რომლისა ხელმწიფისაგან მუნ იყვნენ დაბარებულნი".

ცნობილია, რომ პეტრე პირველის მიწვევით ვახტანგ VI თავიხი ამალით („ქართველთ კრებულნი") გაემგზავრა საქართველოდან 1724 წელს და ჩავიდა მოსკოვში 1725 წელს, როდესაც პეტრე I უკვე მიცვალებული იყო იმავე წლის იანვარში („იმისთვის ვეღარ მიესწროთ").

პოეტი წერს, როს მან იხილა მოსკოვში მეფე ვახტანგი,

„ექვსი წლის წინად ჩემს უწინ ქართლიდან წაბრძანებული".

მაშასადამე, გურამიშვილი ჩასულა მოსკოვში 1730 წელს (1724+6) და არა 1729-ში.

მეორე მოსაზრება:

ვახტანგ მეფე იმ დროს გლოვობდა ზედიზედ მიცვალებულ სამ ხელმწიფეს.

„დიდსა პეტრეს და ორ სხვასა მოწლოდათ წუთისოფელი".

პეტრეს მომდევნო მეფე ეკატერინე I გარდაიცვალა 1727 წელს, ხოლო მისი მომდევნო პეტრე II 1730 წლის იანვარში.

აქედანაც ცხადია, რომ გურამიშვილი ჩასულა მოსკოვში 1730 წელს.

მესამე მოსაზრება:

უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ტუვეობიდან გაქცეული გურამიშვილი ჩავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში 1729 წლის შემოდგომას (ყურძნობისას)—ალბათ სექტემბერში. აქედან ასტრახანს მიაღწევდა გვიან შემოდგომისას, როდესაც ნავიგაცია ვოლგაზე უკვე დახურული იქნებოდა, და მგოსანს ძალა-უნებურად უნდა მოეცადა ასტრახანში 1930 წლის გაზაფხულამდე, სანამ ნავოსნობა ვოლგაზე კვლავ განახლდებოდა.

ამრიგად ეს მესამე გარემოებაც ადასტურებს, რომ გურამიშვილი ჩავიდა მოსკოვში 1730 წელს და არა 1729-ში.

დასკვნა: ზოგიერთ მკვლევართა აზრი, რომ დ. გურამიშვილი ჩავიდა მოსკოვში ცოლშვილით და მსახურით 1729 წელს და ამავე წლიდან მას დაუნიშნეს ულუფად 40 მანეთი, უნდა მიეკუთვნოს სხვა რომელიმე გურამიშვილს (გურამოვს), მით უმეტეს, რომ იმავე წელს ტუვეობიდან გაქცეულ გურამიშვილს არც შეიძლებოდა ყოლოდა ცოლ-შვილი და ამალა.

ერეკლე ლუკაშვილი

ქართული სტენოგრაფიული ნიშნები

სიტყვა სტენოგრაფია ორი ბერძნული სიტყვისაგან შესდგება „სტენოს“—მოკლე, „გრაფო“—წერა, ე. ი. მოკლე წერა.

ჩვეულებრივი წერით ადამიანს შეუძლია ჩაწეროს წუთში ოცდახუთამდე სიტყვა. სტენოგრაფიულად კი ასოცზე მეტი. ჩვეულებრივ ადამიანს ზეპირ მეტყველებით შეუძლია წარმოთქვას ასოცი სიტყვა და შეიძლება უფრო მეტიც.

სტენოგრაფია შეიქმნა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სამას ორმოცდაათ წელს ათენში. რომში ციცერონის დროს სტენოგრაფია ხელოვნებად იქცა.

ქართული სტენოგრაფიის სისტემა დამუშავებულია რუსული სტენოგრაფიის სისტემის საფუძველზე მარიამ ლეონიძის მიერ. მას სტენოგრაფიული ნიშნები გადმოუღია რუსული სტენოგრაფიული სისტემიდან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჯ, ჭ-სა და ძ-ს საანბანო ნიშნებს, რომელიც რუსულში არ გვაქვს, ამ ნიშნების ფორმა იმდენად დახლართულია, რომ შეფერხებას იწვევს სწრაფად წერის დროს).

ქართული და რუსული ენა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან და სწორი არ არის ის, რომ ქართულ და რუსულ სტენოგრაფიულ საანბანო ნიშნებს ერთნაირი ფორმა ჰქონდეს. მით უმეტეს, როცა სტენოგრაფიაში შერწყმულ ნიშნებთან გვაქვს საქმე.

ქართული სტენოგრაფიის სისტემაში ნაწილობრივ დაშვებულია ფონეტიკურად მსგავსი ბგერების ერთნაირი ფორმის ასოებით წერა. ეს საანბანო ნიშნები ძნელი დასამახსოვრებელია. ფონეტიკურად მსგავსი ბგერები გამოიხატება ერთნაირი ფორმის ასოებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთმანეთისაგან ზომით განსხვავდებიან. კიდევ მეტი, სამეულებში შემავალი ორი ბგერა თუ იწერება ერთი ფორმის საანბანო ნიშნით (მათ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან ზომიანობით), ერთი ორზომიანია და მეორე კი ერთზომიანი, მესამე ბგერა განსხვავებული სტენოგრაფიული საანბანო ნიშნით ხასიათდება. არსებობს თუ არა ამის საფუძველი?.. საფუძველი გვექნებოდა მაშინ, თუ განსხვავებულ ფორმებს დავუშვებდით მჟღერების ფშვინვიერების ან მკვეთრების დაწერისას. უკეთ გარკვევისათვის მოვიყვანოთ შემდეგი სქემა არსებული სისტემის მიხედვით.



როგორც ვხედავთ, ბაგისმიერების: ბ, ფ, პ-ს დაწერისას ბ და პ ერთნაირი ფორმის საანბანო ნიშნით ხასიათდება. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ბ ორზომიანია და პ კი ერთზომიანი. ფ სხვა ფორმის სტენოგრაფიული საანბანო ნიშნითაა გამოხატული. ასევე ითქმის სხვა ფონეტიკურად მსგავსი ბგერების საანბანო ნიშნებზე. განსხვავებული ფორმები გვაქვს ბ ბაგისმიერის, დ კბილისმიერის, წ წინანუნისმიერის, ჩ წინასასისმიერის, კ უკანასასისმიერის, და ყ ხორხისმიერის გამოხატვისას.

საწარმოთქმო ორგანოების მიხედვით მსგავსი ბგერების გამოხატვისას უნდა იქნას მიღებული ერთნაირი ფორმის ასოებით წერის ტაქტიკა, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. თუ დავუშვებთ გამონაკლისს ამას საფუძველი უნდა ჰქონდეს. მაგალითად: მჟღერები, მკვეთრები ან ფშვინვიერები დაიწეროს განსხვავებული ფორმით, თუმცა ეს სასურველი არ არის, რადგან ხელს შეუშლის ასოთა დასწავლას და წაკითხვას გააძნელებს.

მ. ლეონიძეს განსხვავებული ფორმები აღებული აქვს ნებისმიერი ბგერების გამოხატვისას, ისე, როგორც რუსულ სტენოგრაფიის სისტემაშია.

სასურველი იქნებოდა ქართულში არსებული 33 ბგერა იწერებოდეს ყველა თავისი საკუთარი საანბანო ნიშნით, მაგრამ ეს ტექნიკურად მოუხერხებელია, რადგან ძნელია გამოინახოს 33 მარტივად საწერი სტენოგრაფიული საანბანო ნიშანი. სწორედ ამიტომაა მიღებული სტენოგრაფიაში ასოთა ზომიანობა (ერთზომიანი, ორზომიანი, და მცირეზომიანი). ასევეა ქართულ სტენოგრაფიულ სისტემაში, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სწრაფად წერის დროს ასოთა ზომიერება ირღვევა, ორზომიანი ერთზომიანს ემსგავება და პირიქით. გასარკვევია ბ არის თუ პ, დ არის თუ ტ და სხვ. სტენოგრაფს უჭირს ან სრულებითაც ვერ კითხულობს ამგვარად დაწერილ მასალას.

სასურველია სტენოგრაფიული საანბანო ნიშნები ერთზომიანი გავხადოთ. მაგალითად ასე:



ე. ი. საწარმოთქმო ორგანოების მიხედვით მსგავსი ბგერები: ბაგისმიერები: ბ, ფ, პ. კბილისმიერები: დ, თ. ტ. წინანუნისმიერები: ძ, ც, წ. უკანანუნისმიერები: ჯ, ჩ, ჭ. უკანასასისმიერები: გ. ქ, კ ხორხისმიერები: ღ, ხ, ყ. სასურველია იწერებოდეს თავის საანბანო ნიშნებით. წყვილეულები ზს და ჟშ იწერებოდეს ამგვარად:



ხოლო ცალეულები ვ, მ, ნ, რ, ლ — იწერებოდეს ისე, როგორც იწერება, მაგრამ ერთი მათგანი მ იწერებოდეს ფ-ს საანბანო ნიშნით, ეს იმისათვის, რომ მ-ს დაწერისას დამახსოვრების გასაადვილებლად შერწყმული ნიშანი მტ მცირეზომიანი მ იქნება, ისე როგორც გვაქვს მცირეზომიანი ფ.

შეიძლება დაისვას კითხვა, რომ ერთ სწორ ხაზზე წერა ძნელი იქნება, რადგან ერთზომიანებთან გვექნება საქმე. ამ უხერხულობისაგან გვიხსნის ხმოვნების პოზიციურად წერის ტაქტიკა. თანხმოვნის მომდევნო თანხმოვანი აიწევა ზევით თუ მათ შორის ხმოვანი ი იქნება. დაიწევა დაბლა თუ მათ შორის ხმოვანი ო ან უ იქნება, გადაიწევა მარჯვნივ ერთი ზომით თუ მათ შორის ე იქნება, ხოლო ა-ს ნიშანი შემაერთებელი ხაზია. და ამრიგად აცილებული იქნება ყოველგვარი უხერხულობა. ამ ხერხით უფრო იოლად დავწერთ და წაკითხვითაც უფრო გასაგებად წავიკითხავთ. და ის სირთულე, რომელიც ახლანდელი სტენოგრაფის მიერ დაწერილ გასაშიფრ მასალას ახასიათებს, თავიდან აშორებული იქნება.

აღნიშნული ხერხებით შესაძლებელია დავწეროთ გარკვევით და წავიკითხოთ გასაგებად.

ყოველი სიტყვის ერთ სტენოგრაფიულ ნიშნამდე დაყვანისათვის უნდა გვქონდეს ქართული ენისათვის დამახასიათებელი შერწყმული ნიშნები, ფრაზიოგრამები და მსაზღვრელ-საზღვრულის ერთი საანბანო ნიშნით წერის ტაქტიკა. აგრეთვე შესაძლებელია ასოთა ორზომიანობა გამოვიყენოთ ერთად ხმარებული სიტყვების გამოხატვისას. ამ ხერხით თავიდან ავიშორებთ სტენოგრაფიული საანბანო ნიშნების დასწავლის სირთულეს.

ვახტანგ ჩაჩუა

ერეკლე ჯაბადარის მუსიკალური მემკვიდრეობა

ამა წლის 29 ივნისსა და 15 ნოემბერს თბილისის რადიოს მუსიკალურმა რედაქციამ მოაწყო 1907 წლიდან 1937 წლამდე უცხოეთში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორის ერეკლე ალექსანდრეს-ძე ჯაბადარის შემოქმედებისადმი მიძღვნილი რადიოკონცერტი. რადიოკონცერტში პირველად შესრულდა ფართო მასებისათვის უცნობი კომპოზიტორის 9 ნაწარმოები, რომლებიც ჩვენ საფრანგეთიდან მივიღეთ. სოლისტმა ლ. მაღნარაძემ მშვენივრად იმღერა ჯაბადარის 4 რომანსი. პიანისტმა ნ. ძამაშვილმა საუცხოოდ დაუკრა 3 საფორტეპიანო, ხოლო ალ. ჭეიშვილმა 1 სავიოლენჩელო პიესა. დაბოლოს გადაიცა „ქართული რაფსოდიის" გრამჩანაწერი პარიზის ნაციონალური ოპერის ორკესტრის შესრულებით და ცნობილ პიანისტ ჟან დუაიენის მონაწილეობითა და ლუი ფურესტიეს ლოტბარობით.

განსვენებული კომპოზიტორის ძმების ილია და შოთა ჯაბადარების მეშვეობით ჩვენ მშობლიურ მხარეს დავუბრუნეთ უცხოეთში მოღვაწე ქართველი მამულიშვილის მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობის მხოლოდ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი—27 ნაწარმოები, რომელსაც პატრონობა, შესრულება და გავრცელება ჭირდება. ჩვენს ხელთ არსებულ ქართული კულტურის ამ საგანძურში შედის 1907 წელს ბრიუსელში დაწერილი 4 რომანსი, „სიჭაბუკის" საერთო სათაურით ქართულად გამოცემული; 1913 წელს ვენაში შექმნილი, იქვე შესრულებული და დაბეჭდილი „ქართული რაფსოდიის" კლავირი, პარტიტურა და საორკესტრო ნაწილი. საყურადღებო მხატვრული ღირებულების გამო იგი დღესაც სრულდება უცხოეთში დიდი წარმატებით. ნიცის ფილარმონიული საზოგადოების ორკესტრმა 1957 წლის მაისში საოპერო თეატრში შეასრულა „ქართული რაფსოდია" სახელმოხვეჭილი პიანისტის რაფაელ არროიოს მონაწილეობით და ჟან პერისონის დირიჟორობით.

პიერ მედეკინი გაზეთში წერდა: „უკანასკნელ შაბათს დირიჟორმა ჟან პერისონმა შესანიშნავად ჩაატარა კონცერტი, რაც ხალხმრავალმა აუდიტორიამ თავისი ყურადღებით დაამტკიცა... კონცერტზე მოვისმინეთ, აგრეთვე, ჯაბადარის „ქართული რაფსოდია". ეს ღირსშესანიშნავი ნაწარმოები ფრიად საინტერესოა ზუსტი ორიგინალური რითმებით და მრავალფეროვანი ფოლკლორით, რაც პიანისტმა არროიომ იშვიათი ტექნიკითა და დახვეწილი მუსიკალური გემოვნებით გადმოგვცა". საჭიროა ოპერა „გულნარას" მისაღებადაც გავისარჯოთ.

პარიზიდან მივიღეთ საფრანგეთსა და ავსტრიაში სხვადასხვა წელს დაწერილი ე. ჯაბადარის საფორტეპიანო პიესები: „ფუგა", „კაპრიჩიო", „აღმოსავლური სიმღერა" ანუ „ჩემო ბიჭიკო სავლე", „კავკასიური ცეკვა" ანუ „ოდაილი-დაილი", რომლის თავფუცელი იმხანად საზღვარგარეთ მყოფი ლადო გუდიაშვილის კოლორიტული ფუნჯითაა გაფორმებული, „ლეკური", „ნაურული" და უნგრელი მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილი „განცდილი წუთები" ანუ „მარგიტ ბარკზის საფლავზე".

მიღებულ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის ლექსებზე შექმნილი „მერანის" და „სულო ბოროტოს" ნოტები ტენორისათვის. ჩვენს ხელთაა სიმფონიური ორკესტრისათვის შეთხზული „გველის ჰანგის" დაბეჭდილი კლავირი, პარტიტურა და საორკესტრო ნაწილი ორ ცალად, „თბილისურის" პარტიტურა და საორკესტრო ნაწილი, „ინდაურების" პარტიტურა, „ლა მაჟორისა" და „ლა მინორის" კონცერტთა მიკროფილმები, „ქართული რაფსოდიისთვის" საჭირო მთელი კომპლექტი (ლოტბარის ნაწილი, ორკესტრირება და რამდენიმე კლავირი). მივიღეთ, აგრეთვე, „ნოქტურნი" ფორტეპიანოსა და დეკლამაციისათვის და 1953 წელს პარიზში გამოცემული „პრელუდია" ვიოლინოსა და ჩელოსათვის.

ე. ჯაბადარის სავიოლენჩელო პიესებიდან ჩვენთან ინახება „სინანული", „ვარიაციები უნგრულ სიმღერებზე" და „კონცერტი დო მაჟორი".

პარიზიდან მივიღეთ და ხელთა გვაქვს ე. ჯაბადარის დიდებული ოპერის „გულნარას" ლიბრეტო და დეკორაციის მაკეტის სურათი. ოპერის სიუჟეტი კახეთის XVIII საუკუნის ცხოვრებიდანაა აღებული და მასში ოსტატურადაა შეყვანილი მეზობელი მთიელი ხალხის პერსონაჟები. ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში განიზრახეს „გულნარას" დადგმა პარიზის „გრანდ ოპერაში" და საამისოდ სპეციალისტთა ავტორიტეტული კოლეგია მოიწვიეს, ლიბრეტო და მუსიკა განიხილეს და დაადგინეს:



ერეკლე ალექსანდრეს-ძე ჯაბადარი (1891-1937)

„ერეკლე ჯაბადარის ქართული ოპერა „გულნარა" ისეთი დრამატული ნაშრომია, რომლის ემოციური სიუჟეტი შეიცავს ქართული ზნე-ჩვეულებების კვინტესენციას. ჭეშმარიტად ქართული ლირიკის ფოლკლორული სიმდიდრე ავტორს გამოუყენებია წმინდა ნაციონალური ატმოსფეროსა და გარემოს შესაქმნელად. გასაოცარი რითმის ცეკვები მთლიანად ავტორს ეკუთვნის. ოპერაში სიმღერები ერთმანეთში იმდენად ჰარმონიულად არის შერწყმული, რომ თვითეულ სოლისტს საუკეთესოდ შეუძლია გამოავლინოს თაეისი ვოკალური ხელოვნება. ყოველივე ეს ბრწყინვალედ და მეცნიერულადაა განვითარებული და დაორკესტრებული.

მოქმედება XVIII საუკუნეში მიმდინარეობს, კოსტუმებს, დეკორაციებს ეგზოტიური ელფერი აქვთ და აღმოსავლეთის მთელი სიმდიდრე და სიდიადე მოცემული.

ამ ოპერას შეუძლია დაიპყროს ევროპისა და ორივე ამერიკის ყველა საოპერო

ლადო გუდიაშვილის მიერ გაფორმებული „ოდაილი-დაილის" თავფურცელი.

სცენა, კონკურენცია გაუწიოს, რომელიც გნებავთ არსებულ ოპერას.

„გულნარას" მიზანსცენა უდავოდ უდიდეს შენაძენს წარმოადგენს ეროვნული თეატრალური და მუსიკალური ხელოვნებისთვის საერთოდ, კერძო თვალსაზრისით კი არაჩვეულებრივი ხარისხისა და მნიშვნელობის საგანძურია საქართველოს კულტურისა და ცივილიზაციისათვის, რომელიც დღემდე სრულიად უცნობი იყო მსოფლიოს ხალხთა ფართო მასებისათვის.

ე. ჯაბადარს დიდად აფასებდნენ ევროპაში, მუსიკათმცოდნენი უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ ქართველის შემოქმედებას. ამის დამადასტურებელი ისიცაა, რომ იგი მიიღეს საფრანგეთის ხელოვანთა საზოგადოების წევრად, რასაც იშვიათად თუ ეღირსებოდა უცხოელი.

კომპოზიტორ ე. ა. ჯაბადარის ნიჭიერი და ტალანტური მუსიკალური მემკვიდრეობა საქართველოში უცნობი იყო. ქართული მუსიკალური კულტურის ამ ერთ-ერთი მოჭირნახულის დანატოვრით უდავოა დაინტერესდებიან სათანადო ორგანიზაციები, პირები და მოკითხული მუსიკოსის მოპოვებულ, საფრანგეთიდან მიღებულ ნაწარმოებებს სათანადო მსგელობას მისცემენ— გამომცემლობა დაბეჭდვაზე იზრუნებს, ხოლო მომღერლები და შემსრულებლები შეისწავლიან მათ, რათა საქართველოს მშრომელებს მოასმენინონ უცხოეთში მივიწყებული თავისი შვილის უცნობი მელოდიები. ურიგო არ იქნებოდა, აგრეთვე, ერეკლე ჯაბადარის შემოქმედებითი საღამო-კონცერტის გამართვა, რომელიც ჩვენი საზოგადოების ცხოველ ინტერესს გამოიწვევს და დიდ სიამოვნებასაც მიიღებს.

ამირან ცამციშვილი

ოპერა „გულნარას" I მოქმედების დეკორაციის მაკეტი.



უცხოეთში გამოცემული ზოგიერთი ნაწარმოებების თავფურცელი და „ქართული რაფსოდიის" ფირფიტები.





მიუხედავად იმისა, რომ თერმომეტრი—10 გრადუსს აჩვენებდა, მოსკოვში ოდნავაც არ შენელებულა ინტერესი საბჭოთა კავშირის თასის ფინალური მატჩისადმი, სადაც, მოსკოველ გულშემატკივართა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთს ხვდებოდნენ „ძალა“ და „ტემპერამენტი“.

— ვისაც სურს ნახოს ცოცხალი მესხი, ყველანი სტადიონზე! — ისმოდა საბილეთო სალაროებთან სვერდლოვის მოედანზე.

ეს არ იყო იაფფასიანი რეკლამა. მოსკოველებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ მ. მესხის დაუვიწყარი გოლი ნახევარფინალურ შეხვედრაში სტალინოს „შახტიორთან“. ამიტომაც იყო, რომ კაფეებსა თუ საბილეთო სალაროებთან, მეტროში თუ კინოთეატრების ვესტიბიულებში ბევრს ლაპარაკობდნენ მესხი-მედაკინის „დუელზე“. თუ ამ „დუელში“ გამარჯვებას პირველს უწინასწარმეტყველებდნენ, სამაგიეროდ იამანიძე - ვორონინის და ბარქაია-მანოშინის ორთა ბრძოლებში ყველა ტორპედოს“ სახელგანთქმული „დუეტის“ მხარეს იჭერდა.

გულშემატკივრები სამართლიანად ფიქრობდნენ, რომ ეს იქნებოდა არა მარტო საბჭოთა სამამულო ფეხბურთის ორი საუკეთესო კოლექტივის ორთა ბრძოლა, არამედ ამ გუნდების ვირტუოზი სოლისტების ბრწყინვალე ტექნიკის დემონსტრაცია.

მიუხედავად ყინვისა, გაიყიდა 85000 ბილეთი, რაც სარეკორდო იყო მთელ სეზონში.

ამ შეხვედრისათვის განსაკუთრებულად ემზადებოდნენ ავტოქარხნელები. ისინი წვრთნას გადიოდნენ მოსკოვიდან 100 კმ-ით დაშორებულ საუკეთესო სპორტულ ბაზებში, ხოლო ფეხბურთელებს ისეთი მტკიცე რეჟიმი ჰქონდათ, რომ ისინი არც კი ჩამოსულან ნახევარფინალურ თამაშზე („დინამო“ თბილისი— „შახტიორი“ სტალინო) მოსკოვში, სადაც უნდა გამოვლინებულიყო მათი მომავალი მოწინააღმდეგე და ტელეგადაცემით დაკმაყოფილდნენ.

როგორც მეტრეველმა თქვა, მათ ტელევიზორი ერთი წუთით ადრე გამოთიშეს დარწმუნებულებმა, რომ თბილისელები განმეორებით შეხვედრას მეორე დღეს ჩაატარებდნენ და მხოლოდ უკანასკნელი ცნობების გადმოცემისას გაიგეს მესხის „ოქროს გოლის“ ამბავი.

ყოველდღე ასობით გულშემატკივარი ჩამოდიოდა საქართველოდან, ისინი პირველ რიგში ყიდულობდნენ ბილეთს და შემდეგ მიეშურებოდნენ სასტუმრო „პეკინისკენ“, სადაც დაბინავებული იყო თბილისის „დინამო“.

ვერავინ ვერ ბედავდა ლაპარაკით შეეწუხებინათ ქართველი ფეხბურთელები, ისინი მხოლოდ ღიმილით ესალმებოდნენ და სიყვარულით შესცქეროდნენ მათ.

თამაშის წინა დღეს შემუშავდა ბრძოლის გეგმა. მწვრთნელებთან ერთად აზრი გამოთქვა ყველა მოთამაშემ, რათა არ გამორჩენოდათ უწვრილმანესი საკითხებიც კი.

გადაწყდა ე. თორაძეს დაეჭირა ზონალური დაცვა, რომელიც დაზღვევაზე ითამაშებდა ბ. სიჭინავასა და გ. ბოჭოლავასთან, სერგეევის და მეტრეველის წინააღმდეგ. ხოლო, ვინაიდან გუსარევი და ივანოვი თამაშობდნენ ორმაგ ცენტრს, გ. ჩოხელს დაევალა შეესრულებინა მეორე ცენტრალური მცველის ფუნქციები. ჯ. ზეინკლიშვილის მოვალეობას შეადგენდა თამაშიდან გამოეთიშა ბატანოვი. უკანდახეული ნახევარდამცველების დანაკლისის ანაზღაურება მოედნის ცენტრში მიენდო შ. იამანიძეს.

ეს გეგმა, რომელიც თავის განლაგებით დაცვითი ხასიათის იყო, საშუალებას აძლევდა ტორპედოელთა უაღრესად ნიჭიერ ნახევარდამცველებს ვორონინს და მანოშინს დაუფლებოდნენ მოედნის ცენტრს, განსაკუთრებით სახიფათო ხდებოდა ვორონინი, რომელსაც აქვს უძლიერესი დარტყმები შორი მანძილიდან. მაგრამ აქ თბილისელები ემყარებოდნენ შემდეგ ფაქტორებს, — მიუხედავად იმისა, რომ იამანიძე ითამაშებდა უკან, ვორონინი ვერ გაბედავდა მიხმარებოდა თავდასხმას, ვინაიდან მესხის მედაკინის ამარად მიტოვება შეუძლებელი იყო. ამას თან დაერთვოდა იამანიძის სახიფათო რეიდები, ხოლო, რაც შეეხებოდა მანოშინს, ყველას სჯეროდა რომ, ვ. ბარქაია „მოუვლიდა“ მას. ცნობილია რომ ვ. ბარქაია მით უფრო კარგად თამაშობს, რაც ძლიერი მოწინააღმდეგენი ჰყავს და თვითონ, პირადად ძალზე უყვარს „ვარსკვლავების“ წინააღმდეგ თამაში,

ნერვიულობამ განსაკუთრებით ძილის წინ იმატა. ს. კოტრიკაძემ ნემსი მოიმარჯვა და ცდილობდა კერვაში გაეყვანა დრო. — დღეს კიდევ არაფერი, — ამბობდა იგი, — მაგრამ ტანში მაჟრჟოლებს ხვალინდელი დღის გახსენებაზე. დილიდან საღამოს ექვს საათამდე რომ გამოკეტილ ოთახში უნდა ველოდო თამაშის დაწყებას.

შ. იამანიძე ხშირ-ხშირად დასჩერებოდა თავის მტკივან ფეხს. დილით ექიმებმა ტკივილის გასაყუჩებლად ნოვოკაინის ნემსები გაუკეთეს. ძნელია ასე თამაში, მაგრამ რას იზამდა: — ფინალში ყოველთვის როდი გადიან.

მშვიდად, მხოლოდ თ. მელაშვილი და ვ. ბარქაია იყვნენ, რომლებსაც საერთოდ იშვიათად თუ აღელვებთ რამე.

—ოცი წუთი მაინც რომ დაცვამ შეაკავოს ტორპედოს იერიშები, თამაშს აუცილებლად მოვიგებთ. — ამბობდა ბ. კალოევი.

საერთოდ, ბიჭები იმდენად იყვნენ დარწმუნებული გამარჯვებაში, რომ თბილისში თასის ადგილსამყოფელის თაობაზე კამათიც კი მოუვიდათ.

ძილის წინ ყველამ წყალში გასადნობად ჩაყარა შაქრის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელიც დილას უნდა დაელიათ: საჭირო იყო ყინვიან ამინდში კალორიების მიღება. რამდენიმეჯერ ჩაალაგეს და ამოალაგეს ჩემოდნებიდან სპორტული ფორმა, მაგრამ დრო მაინც ძალზე ნელა გადიოდა.

იმ დღეს მოსკოვში არ არსებობდა უცნობი ქართველი, ყველა შემხვედრი ერთმანეთს ესალმებოდა და აფრთხილებდა, რომ თამაშის წინ 6 საათზე თავი მოეყარათ ლენინის ძეგლთან ლუჟნიკის სტადიონზე. ყველა ქართველმა გულშემატკივარმა ბილეთი აღმოსავლეთის ტრიბუნაზე შეიძინა,

და აი, 31 ოქტომბრის საღამოს 7 საათზე 85000 მაყურებელი ტაშის გრიალით მიეხალმა საბჭოთა საფეხბურთო სკოლის ორ საუკეთესო წარმომადგენელს.

რა უნდა დაიწეროს იმ თამაშზე, რომლის ყოველი წუთი, ყოველი ტაში ზოდი საოცარი სიზუსტით ეხსიერ გულშემატკივრებს.

მაგრამ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მთელი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარეს მ. მესხმა, შ. იამანიძემ და განსაკუთრებით ვ. ბარქაიამ, რომელთა ლამაზ ფინტებსა და ტრიუკებს მოსკოვის მაყურებლები „ბრაზილიურად“ ნათლავდნენ. ამ ფეხბურთელებმა გაამართლეს მწვრთნელის, მოლოდინი და მოედნის ცენტრი წაართვეს „ტორპედოს“. იმდენად ბრწყინვალე იყო ბარქაია, რომ მანოშინი საერთოდ არ ჩანდა მინდორზე. ეს, რასაკვირველია, ძნელი გადასატანი იყო 20 000 ავტოქარხნელისათვის, რომლებიც ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალყურს თავიანთ ახალ ვარსკვლავს. და მეორე ტაიმის ბოლოს, როცა ვ. ბარქაია ოდნავ მოიღალა, მანოშინმა, როგორც იქნა ამოისუნთქა და სახიფათოდ შეიჭრა ჩვენს საჯარიმო მოედანზე. გულშემატკივრები გამაყრუებელი ძახილით ამხნევებდნენ მას:

—მანოშკა, მოაწყვე ცირკი, მანოშკა, მოაწყვე ცირკი!

მაგრამ, ეს გაგრძელდა სულ რამდენიმე წუთს. და შემდეგ ბარქაია ისე იმსახურებდა მაყურებელთა ტაშს, როგორც ბალეტმეისტერი სცენაზე. ბრწყინვალე პირუეტების შესრულების დროს. მეოთხე ტაიმში ჩრდილოეთის ტრიბუნაზე ამოქმედდნენ მოსკოველი „მესხისტებიც“, რომლებიც შეძახილებით „მეს-ხი“, „მეს-ხი“, ამხნევებდნენ გააფთრებულ თბილისელთა მარცხენა გარემარბს.

და მაშინ, როცა მაყურებელთა დიდი უმრავლესობა დარწმუნებული იყო თბილისელთა გამარჯვებაში, ბურთი გაეხვია ქართველი ფეხბურთელების კარში.

თერთმეტი ქართველი ფეხბურთელი გაქვავდა ადგილზე. თერთმეტი ტორპედოელი ჰაერში ხტუნვითა და შეძახილებით ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს.

საფინალო სასტვენის შემდეგ 100-ზე მეტი კორესპონდენტი გადაეშვა მინდორზე, რომლებმაც ალყა დაარტყეს ბედნიერებით სახეგაბრწყინებულ ტორპედოელებს.

არც ერთ რეპორტიორს აზრად არ მოსვლია ფიორზე აღებეჭდა აცრემლებული ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც თავდახრილი, დაღვრემილი მიემართებოდნენ გასახდელისაკენ.

სწორედ ამ მომენტში თქვა ფეხბურთის ვეტერანმა ვსევოლოდ ბობროვმა:

— ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო და დასამახსოვრებელი მატჩთაგანი, რომელიც მე მინახავს, საუკეთესო არა მარტო თავისი დაძაბულობით გამარჯვებისადმი სწრაფვის ვაჟკაცური სულისკვეთებით, კომბინაციურობითა და თვალისმომჭრელი ტექნიკით, არამედ თავისი ტრაგიკული დასასრულითაც.

გურამ ფანჯიკიძე



მეგობრული შარჟი

„ნაწყვეტები“ ქართველი მწერლებიდან.

ჩანახატები მწერალ თენგიზ გოგოლაძისა



სანდრო ქურიძე



გრიგოლ აბაშიძე





გიორგი კაპანიძე

გიორგი ლეონიძე

სერგი ჭილაია

ალიო მირცხულავა

„აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი
მას მჯისა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ხმობილნი“

ნახ. გ. ფირცხალავანი

უტექსტო ხუმრობა ომარ ბრეგაძისა

რედაქტორი ალიო მირცხულავა
პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი ე. ონიანი. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ.

ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-58

ფასი 3 მან. 1961 წლის 1 იანვრიდან 30 კაპ.

გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII-60 წ. გამომც. № 143. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000. შეკ. № 2015, უე 08009

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალეტი ყინულზე



ამერიკელი მხატვარი როკუელ კენტი და მისი მეუღლე თბილისელ მაყურებელთა შორის

«ზამთრის ფანტაზია»